ვულოცავთ სრულიად საქართველოს უდიდეს დღესასწაულს ქრისტეს შობას და ვევედრებით ჩვენთვის განკაცებულ ღმერთს, რომ შეგვიწყალოს და დაგვიფაროს!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 4 (548) ხუთშაბათი, 7 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

6 იანვრის ღამემ მდინარე გუმისთაზე შედარებით მშვიდად ჩაიარა. მოწინააღმდეგეს წინა დღით მიყენებული ზარალის შემდეგ არ უნდა განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი შეტევა, თუმცა მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა კანტიკუნტი სროლა. გათენებისას, 6 საათსა და 30 წუთზე, მოწინააღმდეგემ საბრძოლო პოზიციებზე გამოიყვანა ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა, საარტილერიო ცეცხლი დაუშინა ქალაქ სოხუმს. ჭურვები აფეთქდა ქალაქის სხვადასხვა რაიონში, წინასწარი მონაცემებით, დაბომბვას მსხვერპლი არ მოჰყოლია. საქართველოს შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს უპასუხებდნენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და თანამიმდევრულად ახშობდნენ მათ საცეცხლე წერტილებს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა დღის სასტიკი მარცხის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარის ბანაკში შეიმჩნევა დაბნეულობა და ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება. რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, აქ გვარდიის სწრაფი რეაგირების კორპუსისა და ოჩამჩირის დაჯგუფებების მებრძოლების მიერ უკანასკნელ დღეებში განხორციელებული წარმატებითი სამხედრო ოპერაციების შემდეგ მოწინააღმდეგის განლაგებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა და 6 იანვრის დილამ შედარებით მშვიდად ჩაიარა.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება. მასში ნათქვამია, რომ 5 იანვარს ტელეკომპანია „ოსტანკინოს" I არხის საინფორმაციო პროგრამა „ნოვოსტში" გადაიცა რეპორტაჟი გუდაუთიდან, რომლის ავტორი რუსლან ხაზიგი აფხაზურ სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ თითქოს აფხაზურმა სამხედრო შენაერთებმა გაარღვიეს მდინარე გუმისთასთან ქართული პოზიციები, დაიკავეს სოხუმის რაიონის სოფელი აჩადარა, რომელსაც აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა და მდებარეობს ფრონტის ხაზთან.

ზემოხსენებული ინფორმაციით აფხაზური მხარე ცდილობს სასურველი გაასაღოს სინამდვილედ. ამაზე ბრძენ ქართველ კაცს უთქვამს: „მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო". ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა აფხაზური საინფორმაციო საშუალებები პროპაგანდისტული მიზნით რუსეთის საინფორმაციო სამსახურების გამოყენებით ავრცელებენ ცნობებს იმის შესახებ, რომ აფხაზურმა მხარემ დაიკავა ესა თუ ის დასახლებული პუნქტი და ქალაქი.

5 იანვარს, გათენებისას აფხაზური მხარე შეეცადა განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი შეტევა მდინარე გუმისთაზე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მძლავრი საარტილერიო ცეცხლით ჩაშალეს მოწინააღმდეგის მცდელობა და მიაყენეს მას დიდი ზარალი. გაუნადგურეს და დაუზიანეს საბრძოლო ტექნიკის ოთხი ერთეული და 80 მებრძოლი დაჭრილ-დახოცილთა სახით. ქართველთა მხრიდან დაიღუპა 4 მებრძოლი, დაიჭრა 8.

იოსებ გოგეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!



შვიდ იანვარს (ძველი სტილით 25 დეკემბერს) ქრისტიანთა ბრწყინვალე დღესასწაულია — ამ დღეს ხორციელად იშვა უფალი ღვთისა და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე.

ქართული ეკლესია ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავდა. ასე იქნება ამჟამადაც. მაგრამ წლევანდელ ქრისტეშობას საქართველო სევდიანი და თვალცრემლიანი ხვდება. ომია ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს მიწა-წყალს გვეცილებიან, იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, ინგრევა და ნადგურდება სოფელ-ქალაქი, შეშფოთებულია ჩვენი სულები. მაგრამ ამ მძიმე ჟამს უნდა გვახსოვდეს ქრისტესმიერი ცნებანი, რომ მოგვეცეს მადლი სიმდაბლისა და მორჩილებისა, ცოდვათა მიტევებისა, სული ერთობისა, რათა ვძლიოთ ბოროტს და სიკეთემ იზეიმოს. და თუ ყველა ჩვენგანი ქრისტეს გზას, ადამიანის სიყვარულის გზას დაადგება, ადვილად დათრგუნავს ბოროტს, რადგან, როგორც წმინდა ილია მართალი ამბობდა ამ 114 წლის წინათ „მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლია სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. მარტო სიყვარულით გაძლიერებულის ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს..." ქრისტიანობაა სწორედ სიყვარულის განუზომელი სიმაღლე, რომელიც გაგვიხსნის გზას სიმართლისათვის, სამშობლოს მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ქრისტეშობის დღეს ყოველი ქართველი შესთხოვს უფალს სამშობლოს მშვიდობას, მის კეთილ მომავალს, ილოცებს ოჯახისა და ახლობლების ბედნიერებისათვის, მოყვასის სულის გადასარჩენად, წმიდა სანთელს აუნთებს მამულისათვის დაღუპულ ვაჟკაცებს.

ამ დიდებულ დღესასწაულზე ყველა ეკლესიაში წინამძღვრები აღავლენენ საშობაო წირვა-ლოცვას. მარიამ ღვთისმშობლის სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს სულიერი მამა და ერის უფალთან დამაკავშირებელი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე სამღვდელოებასთან ერთად აღავლენს საზეიმო წირვა-ლოცვას.

დაე, წლევანდელი ქრისტეშობის დღესასწაულის მადლმა, ლოცვა-კურთხევამ მოუტანოს საქართველოს მშვიდობა, სიყვარული კაცთა შორის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა სულ ახლახან ბრძანა: მართალია მძიმე დროა ახლა, მაგრამ საქართველოს არასდროს არ ულხინდა. და, როცა განსაკუთრებით უჭირდა საქართველოს, უფალი შველას მოუვლინდა, თითქოს ლოგიკურად შველა არსით იყო, მაგრამ ისეთი ხსნა მოვიდოდა, რომ ქვეყანას გადაარჩენდა.

ასე იქნება ამჟამადაც.

ეს იმედი ნუ მოგვიშალოს მაღალმა ღმერთმა, იმედი ხსნისა და გადარჩენის.

საქართველოს დაღუპვა არ უწერია, საქართველო კვლავ გაბრწყინდება.

ჰფარავდეს საქართველოს ქრისტეშობის მადლი.

ქრისტე იშვა ბეთლემსაო...

ნომერში

⊙ დემაგოგია, რომლითაც პოპულარობის მოხვეჭა სურთ. 2-3
⊙ ნეტავ იმ დროს, ვასილ ბიძი. 4

ამერიკის პრეზიდენტის წერილი

მის აღმატებულებას ბატონ ე. შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ,

მადლობას გიხდით მილოცვისთვის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით. დიდი სიამოვნება მივიღე თქვენთან საუბრით ჩემი არჩევის შემდეგ და დიდი მადლობელი ვარ თქვენი გამამხნევებელი და ჩემი მომავალი საქმიანობის მხარდამჭერის გამომხატველი კეთილი სიტყვებისთვის.

დასრულდა რა ცივი ომი, კაცობრიობა ახალი, დიდი იმედების მომცემი ხანის დასაწყისშია. იმისათვის, რომ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და მიიღოს ყველა ის გამოწვევა, რაც ამ დრამატული ცვლილებების ხანას მოსდევს, შეერთებული შტატები აქტიურად უნდა დარჩეს ჩაბმული მსოფლიო (გლობალურ) პროცესებში და განაგრძოს წამყვანი როლის შესრულება. მოუთმენლად ველი თქვენთან და მსოფლიოს სხვა ლიდერებთან თანამშრომლობას ჩვენი საერთო მიზნების მისაღწევად.

პატივისცემით,
ბილ კლინტონი.

ორგანიზებულობა და დისციპლინა

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომა

5 იანვარს გამართულმა საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ მორიგ სხდომაზე დეტალურად განიხილა აფხაზეთის რეგიონში შექმნილი ვითარება, მასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა საველე-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხის განხილვას. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საგანგებო დავალებები მისცა სამინისტროებსა და უწყებებს ჯარისკაცთა თბილი ტანსაცმლით, საკვები პროდუქტებით მომარაგებასა და სამედიცინო მომსახურების დონის მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ. ანალოგიური დავალებები მიიღეს შესაბამისმა სამსახურებმა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის მიმართაც, პირველ რიგში ამ მხარის ელექტროენერგიით სტაბილურად მომარაგების მხრივ.

საბჭომ განიხილა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების დაცვისა და სასაზღვრო ჯარების შექმნის საკითხი. მიღებულია დადგენილება, რომელიც ძირითადად იწონებს ქვეყნის სახელმწიფო საზღვრების დაცვის კონცეფციას, მათი დისლოკაციის სტრუქტურასა და სქემას. გადაწყდა, ეს დოკუმენტები საბჭოს სხდომაზე გამოთქმული წინადადებების და შესწორებების გათვალისწინებით გადასცენ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მუდმივ კომისიას. რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების მთავარ სამმართველოს დაევალა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს კანონპროექტები: „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ" და წინასწარი განხილვისათვის სამი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.

სხდომაზე საქენერგოს მუშაობისა და სამხედრო ვითარებაზე მისი გავლენის შესახებ ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჭირჭირობით ყველაფერი როდი კეთდება ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლისათვის, ელექტროსადგურებში არ არის ელემენტარული წესრიგი. ამასთან ზოგიერთი თანამდებობის პირი რატომღაც ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას შექმნილი ვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით დგება საქენერგოს სისტემაში კადრების განახლების საჭიროება. ენერგოობიექტებზე, ითქვა სხდომაზე, უნდა გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა, მკაცრად მოეკითხოს ყველას, ვინც არ იღებს მთელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესების ზომებს. მწვავედ გააკრიტიკეს აგრეთვე ნავთობპროდუქტების უწყების მუშაობა, სადაც მოკალათებული არიან მექრთამეები და გამომძალველები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი გამდიდრებისათვის ზრუნავენ.

ყველასათვის ცნობილია, თუ რამდენად მწვავედ დგას ჩვენში ახლა რკინიგზის ფუნქციონირების პრობლემა. აქ როგორც რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის და პარლამენტის უფროსის რემ ვაშაკიძის ინფორმაცია მოწმობს, სიტუაცია კვლავ უაღრესად რთულია. არ წყდება შეიარაღებული ბანდების თავდასხმა მატარებლებზე ტვირთის მოტაცების მიზნით, ძვირადღირებული მოწყობილობის ქურდობამ სახელმწიფოს უკვე მიაყენა მრავალი მილიარდი მანეთის ზარალი.

სულ ახლახანს, 4 იანვარს ფოთიდან გამოსული სატვირთო მატარებელი ხობის რაიონის სოფელ ქვალონში გააჩერა ადგილობრივმა მოსახლეობამ. მათ გახსნეს ვაგონმაცივარი, გაიტაცეს ხორბალი და სამი ტონა ხორცი. ასეთი მოქმედებით მათ ჩირქი მოსცხეს მთელ სოფელს, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი გამოძიებისა და გვარდიის წარმომადგენლებისაგან და გამტაცებლებს ნაძარცვი დააბრუნებინეს.

მიმდინარეობს გამოძიება. რესპუბლიკის პროკურატურამ საგანგებო კონტროლი დააწესა ამ საქმის გამოძიებისადმი, რომლის შესახებ საზოგადოებრიობა ინფორმირებული იქნება.

მართალია, უკანასკნელ ხანს პოლიციამ ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებთან ერთად გააძლიერა ბრძოლა რკინიგზაზე ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, გველის დიდი მუშაობა, რათა მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას ამ საქმეში.

განიხილა რა სახელმწიფო ჯილდოების ესკიზების საკითხი, საბჭომ შესაბამის კომისიას დაავალა იმუშაოს ესკიზების საბოლოო ვარიანტზე და წარმოადგინოს განსახილველად.

სხდომაზე მოისმინეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრთან პაველ გრაჩოვთან მოსკოვში შეხვედრის შედეგების შესახებ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ ანატოლი კამკამიძის ინფორმაცია აფხაზეთის რეგიონში სამხედრო მოქმედების თაობაზე.

შეხვედრა გაეროს მუდმივ წარმომადგენელთან

6 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში **თეოდორ სტარჩევიჩი.**

საუბრისას ქვეყნის მეთაურმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოსათვის უპირველესი საზრუნავის — შიდა კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის ფაქტორს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ უნდა მომზადდეს რუსეთთან ხელშეკრულებების მთელი პაკეტი, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნება ურთიერთობების ძირითადი პრინციპები და მათ შორის რუსეთის არმიის საქართველოში ყოფნის ვადები და სტატუსი. სამწუხაროდ, ბრძოლები ჯერ კიდევ არ არის შეწყვეტილი, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — გუშინაც ჰქონდათ გუდაუთის ექსტრემისტებს შემოტევის მცდელობა ქალაქ სოხუმზე. ათეულობით „ბოევიკი" შეეწირა ამ ავანტიურას. საყურადღებოა, რომ დაღუპულთა შორის უმრავლესობა რუსი ეროვნების პირები არიან.

გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა საქართველოს მეთაურს ინფორმაციისათვის და აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდი ყურადღებით მოეკიდნენ მიმართვას, რომელშიც მან კონკრეტული წინადადებები შესთავაზა ამ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რასაც უქადის მთელს კაცობრიობას ექსტრემისტული სეპარატიზმის საყოველთაო გავრცელება.

ბატონმა თეოდორ სტარჩევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაეროში უდიდესი სიმპათიით არიან განწყობილნი საქართველოსა და მისი ხელმძღვანელის მიმართ და ახლავე არიან მზად უშიშროების საბჭოს უახლოეს სხდომაზევე საქართველოს მოთხოვნით განიხილონ საკითხი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესახებ კონფლიქტის ზონაში. გაეროს თხოვნით საკითხის განხილვას დაესწრება საქართველოს დელეგაცია.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

1993 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაარსების 75 წელი შეუსრულდება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

თბილისის უნივერსიტეტი XX საუკუნის საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ყველაზე ღირსეული კერაა. თბილისის უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული თანამედროვე ქართული მეცნიერების ფორმირება, მისი საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა. აქ ჩაეყარა საფუძველი ქართული ეროვნული აზრის აღმავლობის თითქმის ყველა დიდ გამოვლინებას.

განვლილი 75 წელი, მთელი თავისი სირთულეებით, იყო მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს შესვლისათვის მომზადების წლები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ქართველი ხალხი დღეს, თავისი ძნელბედობის დროს, დიდ იმედებს ამყარებს, უნივერსიტეტმა უნდა მისცეს საქართველოს მაგალითი გონივრული შეკავშირებისა, ქართველი ხალხის უკეთესი თვისებების — ნიჭის, მაღალი ზნეობის, მეგობრული კეთილგანწყობილების გამოვლინებისა.

უნივერსიტეტმა უნდა წარმოაჩინოს ჩვენი ხალხის ინტელექტუალური სახე მსოფლიოს წინაშე. ამიტომაც, ქართულმა საზოგადოებამ ფართოდ უნდა აღნიშნოს თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისთავი.

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის იუბილე უნდა გაიმართოს საქმიან ვითარებაში. საიუბილეო წელი უნდა იყოს საუნივერსიტეტო ცხოვრების და საუნივერსიტეტო საქმის რეგულირების, მისი პრესტიჟის ამაღლების წელი. სასწავლო პროცესის შემდგომი მოწესრიგებისა და გაუმჯობესების, საუნივერსიტეტო მეცნიერების აღმავლობისა და გამოჩინების, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და უნივერსიტეტელთა სოციალური პირობებისათვის ზრუნვის წელი. უნივერსიტეტის იუბილე უნდა იყოს სტუდენტური სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენის, სამეცნიერო კონფერენციების, მსოფლიოს უნივერსიტეტებთან თბილისის უნივერსიტეტის კავშირ-ურთიერთობის განმტკიცების, საქართველოს მონატრებული უცხოელი მეგობრების მიერ უნივერსიტეტის საქმიანი მონახულების დემონსტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკისათვის 1993 წელი უნდა გამოცხადდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წლად. უნივერსიტეტის საიუბილეო წელი უნდა იყოს დამოუკიდებელი საქართველოს, რომელიც ახლახან გახდა ყველა ძირითად, მათ შორის მეცნიერების, კულტურისა და განათლების (იუნესკო) საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრი, თავისუფალი მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში დამკვიდრების წელი.

აქედან გამომდინარე:

1. ღრმა მადლიერებით ვიღებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადებას, ვუხელმძღვანელო სახელმწიფო საიუბილეო კომიტეტს. ამასთან ვკისრულობ, ხელი შევუწყო იუბილეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფართოდ — ევროპული და მსოფლიო მასშტაბით — გააზრებასა და მოწყობას.

2. ვეთანხმები წინადადებას, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 75 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები გაიმართოს 1993 წლის თებერვალ-ოქტომბერში.

3. შეიქმნას სახელმწიფო საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ელგუჯა ამაშუკელი, ასლან აბაშიძე, ნოდარ ამაღლობელი, ლევან ალექსიძე, ანდრო აფაქიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვახტანგ ბერიძე, კოტე გაბაშვილი, თამაზ გამყრელიძე, არჩილ გოგელია, ვახტანგ გოგუაძე, რომან გოციროძე, დემურ დვალიშვილი, ალბერტ თავხელიძე, თეიმურაზ იოსელიანი, რაულ კუპრავა, ოთარ ლითანიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე, საუნივერსიტეტო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე), ლორიკ მარშანია, დავით მაღრაძე, გურამ მირიანაშვილი, თამაზ ნადარეიშვილი, ვაჟა ოკუჯავა, კახი პოპიაშვილი, ლევან [illegible], გივი სანაძე, თენგიზ სიგუა, ნიკო სხირტლაძე, გურამ ფანჯიკიძე, გურამ ჭაშაკაშვილი, ელდარ შენგელაია, ვასილ ჩანტლაძე, ალექსანდრე ჩიკვაიძე, პეტრე ჩხეიძე, კონსტანტინე წერეთელი, გიორგი ჭოლოშვილი, ევგენი ხარაძე, ლევან ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე, მიხეილ ჯიბუტი, ოთარ ჯიოევი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი,
1992 წლის 30 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

იური სიორიძის „მხედრული მამაცობის" მედლით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

დაჯილდოვდეს პოლიციის პოდპოლკოვნიკი იური სიორიძე „მხედრული მამაცობის" მედლით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ნუგზარ სეფერთელაძის „მხედრული მამაცობის" მედლით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

დაჯილდოვდეს პოლიციის კაპიტანი ნუგზარ სეფერთელაძე „მხედრული მამაცობის" მედლით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„სამხედრო პროკურატურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„სამხედრო პროკურატურის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსს ესაჭიროება ინსტრუქტორები, რომლებიც მოამზადებენ პროფესიონალ კადრებს. მსურველებს უნდა ჰქონდეთ ნამსახური საჰაერო-სადესანტო ბრიგადებში, საზღვაო დესანტში, სპეციალური დანიშნულების ნაწილებსა და დაზვერვაში. სასურველია, მონაწილეობა ჰქონდეთ მიღებული მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების საბრძოლო მოქმედებებში.

ინსტრუქტორთა ასაკი განისაზღვრება 25-დან 55 წლამდე. ენობრივი ბარიერი ფაქტობრივად არ იარსებებს. ხელფასის ანაზღაურება მოხდება როგორც მანეთებით, ასევე ამერიკული დოლარებით (დაკავებული თანამდებობის მიხედვით) 40000 მანეთი პლუს 40 დოლარიდან 60000 მანეთი პლუს 60 დოლარამდე თვეში.

კანდიდატები გაივლიან შესარჩევ კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, ტანსაცმლით, კვებით.

შრომითი ხელშეკრულება გაფორმდება კონტრაქტის მეშვეობით.

მსურველებმა მიმართონ გვარდიის მთავარ სამმართველოს: გულიას ქ. 3; ტელ.: 72-14-78; მიმდინარე წლის 30 იანვრამდე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სამხედრო მდგომარეობის შესახებ

მუხლი 1. სამხედრო მდგომარეობა არის განსაკუთრებული წესები, რომლებიც „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის და ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში.

სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების მიზანია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მუხლი 2. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რეგიონში აცხადებს სამხედრო მდგომარეობას ან ადასტურებს სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებას. იმ შემთხვევაში, თუ ამ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, საკითხი სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა შეაქვს მას პარლამენტის განსახილველად. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

მუხლი 3. სამხედრო მდგომარეობის შემოღებისას აღინიშნება ასეთი გადაწყვეტილების მიღების მოტივები, მოქმედების ვადა და ტერიტორიული საზღვრები, რაც სამხედრო მდგომარეობის ძალაში შესვლამდე არა უგვიანეს 12 საათისა, ცხადდება რადიოთი, ტელევიზიით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

საქართველოს პარლამენტს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, უფლება აქვს, გააუქმოს იგი დადგენილი ვადის გასვლამდე ან გაახანგრძლივოს მისი მოქმედების ვადა, თუ კვლავ არსებობს გარემოებანი, რომლებიც სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების საფუძველი გახდა.

დადგენილება სამხედრო მდგომარეობის გაუქმების ან მისი ვადის გახანგრძლივების შესახებ მიიღება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

მუხლი 4. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელობის ფუნქციები სახელმწიფო თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების დარგში გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს — უმაღლეს მთავარსარდალს.

მუხლი 5. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ადგილებზე სამხედრო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს, რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური — უმაღლესი მთავარსარდალი, უფლება აქვთ:

1) გამოიყენონ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა ღონისძიება საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უშიშროების და სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

2) დროებით გაიყვანონ სიცოცხლისათვის საშიში რაიონებიდან მოქალაქეები, ამასთან, მისცენ მათ დროებითი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი;

3) შემოიღონ — ქვეყნის იმ რეგიონში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა, მოქალაქეთა გასვლისა და მოქალაქეთა შემოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

4) მოახდინონ მოქალაქეთა მობილიზაცია თავდაცვითი სამუშაოების შესასრულებლად რკინიგზის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად;

5) დროებით ჩამოართვან მოქალაქეებს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, ტყვია-წამალი, ხოლო უწყებებს — სასწავლო-სამხედრო ტექნიკა, ფეთქებადი, რადიოაქტიური ნივთიერებანი და მასალები, ქიმიური და სხვა ნივთიერებები;

6) შემოიღონ უწყებათა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი. გადაწყვიტონ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით, მათი სამეურნეო საქმიანობისა თუ სხვა საკითხები;

7) აკრძალონ კრებები, მიტინგები, ქუჩაში მსვლელობები და დემონსტრაციები, აგრეთვე სხვა მასობრივი ღონისძიებები;

8) აკრძალონ გაფიცვა;

9) შეზღუდონ ან აკრძალონ იარაღით, ტყვია-წამლით, შხამშემცველი ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობა;

10) შეზღუდონ ან აკრძალონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა;

11) შემოიღონ კავშირგაბმულობით სარგებლობის განსაკუთრებული რეჟიმი; შეზღუდონ ან აკრძალონ რადიო და ტელეგადამცემი აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერი ტექნიკის გამოყენება, დააწესონ კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე;

12) შეამოწმონ მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში საბუთები მოაწყონ პირადი ნივთების გასინჯვა, ხელბარგისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება;

13) თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მუშა-მოსამსახურენი დროებით გადაიყვანონ იმ სამუშაოზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით;

14) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს, დატოვონ განსაზღვრული ვადით გარკვეული დასახლებული პუნქტი; ის პირები, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, გაიყვანონ საკუთარი ხარჯით თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას;

15) შემოიღონ კარანტინი ან განახორციელონ სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

16) დანიშნონ ან გაათავისუფლონ თანამდებობიდან უწყებათა ხელმძღვანელები.

მუხლი 6. ამ კანონის მე-5 მუხლში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს უფლება აქვს:

1) შემოიღოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან მოქალაქეთა გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა შემოსვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

2) გამოსცეს დადგენილებები, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე;

3) მისცეს განკარგულებები ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს და უწყებებს და მოითხოვოს მათი განუხრელი შესრულება;

4) გააუქმოს ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ, ისინი ხელს შეუშლიან ადგილებზე ვითარების სტაბილიზაციას.

მუხლი 7. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, მოქალაქენი მოვალენი არიან, იმ ტერიტორიაზე გადაადგილებისას, სადაც მოქმედებს სამხედრო მდგომარეობა, იქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ხოლო კომენდანტის საათის მოქმედების დროს — სპეციალური საშვი, რომელსაც საჭიროებისამებრ გასცემენ სამხედრო ხელისუფლების ორგანოები.

მუხლი 8. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2-15 პუნქტებისა და მე-7 მუხლით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს შესაბამისად, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 9. სამხედრო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების სამუშაოთა წარმოებასთან დაკავშირებით, დაზარალებულ მოქალაქეებს უნაზღაურდებათ მიყენებული მატერიალური ზარალი, საჭიროების შემთხვევაში, ეძლევათ საცხოვრებელი სადგომი.

ბინის მიცემის, ზარალის ანაზღაურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევის პირობებს და წესს, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 10. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებისა და მისი გაუქმების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სამხედრო პროკურატურის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის განხორციელებამდე სამხედრო პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 2. სამხედრო პროკურატურის უმთავრესი ამოცანაა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, დანაშაულობათა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მათი აღმოფხვრა.

მუხლი 3. სამხედრო პროკურატურა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ კანონის საფუძველზე. კოორდინაციას უწევს სამხედრო სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს და მოსახლეობას შეიარაღებულ ძალებში კანონიერების მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 4. სამხედრო პროკურატურის ორგანოებში დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების შექმნა და ფუნქციონირება.

სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოს წევრი ან შეითავსოს სხვა სამუშაო გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 5. სამხედრო პროკურორს უფლება აქვს მონაწილეობდეს შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების იმ სხდომებში, რომლებზეც განიხილება სამხედრო დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხები.

მუხლი 6. სამხედრო პროკურატურის ორგანოები კანონით დადგენილი წესით იხილავენ საჩივრებს, წინადადებებსა და განცხადებებს.

სამხედრო პროკურორები პირადად იღებენ სამხედრო მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს.

მუხლი 7. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირისათვის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებაში ხელის შეშლა ან მისი იძულება შეასრულოს უკანონო მოქმედებანი, იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

თავი II
სამხედრო პროკურატურის ორგანიზაცია

მუხლი 8. სამხედრო პროკურატურა შედის საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემაში ზემდგომი სამხედრო პროკურორებისადმი ქვემდგომთა დაქვემდებარებით. მთავარი სამხედრო პროკურორი ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და თანამდებობით არის მისი მოადგილე.

მუხლი 9. სამხედრო პროკურატურის ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით აწესებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურის ორგანოების სისტემაში შედის მთავარი სამხედრო პროკურატურა და შესაბამისი რეგიონალური სამხედრო პროკურატურები.

მუხლი 11. მთავარ სამხედრო პროკურორს ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინებით.

მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებს და რეგიონალურ პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით.

მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილების უფროსებს, მათ მოადგილეებს, განყოფილების პროკურორებს, მთავარი სამხედრო პროკურორის თანაშემწეებს, სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებს, რეგიონალური პროკურორების მოადგილეებსა და თანაშემწეებს ნიშნავს მთავარი სამხედრო პროკურორი.

მუხლი 12. სამხედრო პროკურატურის ორგანოების სისტემას ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი.

მთავარი სამხედრო პროკურორი გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამხედრო პროკურატურის ყველა მუშაკისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი აუქმებს მთავარი სამხედრო პროკურორის მიერ გამოცემულ აქტებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ შეესაბამება კანონს.

მუხლი 13. მთავარ სამხედრო პროკურატურაში იქმნება კოლეგია მთავარი სამხედრო პროკურორის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და სამხედრო პროკურატურის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით. კოლეგიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით.

თავი III
სამხედრო პროკურორისა და სამხედრო პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილება

მუხლი 14. სამხედრო პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ზედამხედველობას სამხედრო უწყებების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მიერ კანონების შესრულებაზე, აგრეთვე მათ მიერ მიღებული აქტებისა და გადაწყვეტილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

მუხლი 15. სათანადო საფუძვლის არსებობისას სამხედრო პროკურორი უფლებამოსილია დაუბრკოლებლივ შევიდეს სამხედრო მმართველობის ორგანოებსა და ორგანიზაციებში, გამოითხოვოს მათ მიერ მიღებული ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა დოკუმენტები, დანიშნოს არასაუწყებო შემოწმებები და რევიზიები, მოითხოვოს სამხედრო მოსამსახურეებისა და სხვა პირებისაგან განმარტებები კანონის დარღვევის თაობაზე.

სამხედრო პროკურორის კანონიერი მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ორგანოს, თანამდებობის პირის, სამხედრო მოსამსახურის და სხვა მოქალაქეებისათვის.

მუხლი 16. სამხედრო პროკურატურა არ ერევა სამხედრო მმართველობის ორგანოების თავდაცვით, მმართველობით და სამეურნეო საქმიანობაში. საპროკურორო შემოწმებები ხორციელდება მხოლოდ იმ შეტყობინებათა საფუძველზე, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნებზე ან კანონიერების სხვა დარღვევებზე.

მუხლი 17. სამხედრო უწყების მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო აქტის გამო სამხედრო პროკურორს ან მის მოადგილეს შეაქვს პროტესტი ამ აქტის გამომცემ ან ზემდგომ ორგანოში, ან სამხედრო სასამართლოში. ასეთივე წესით ხდება პროტესტის შეტანა შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირის მიერ გამოცემული კანონსაწინააღმდეგო აქტის გამო.

შესაბამისი სამხედრო უწყება ან თანამდებობის პირი ვალდებულია 10 დღის ვადაში განიხილოს პროტესტი და შედეგი აცნობოს პროკურორს.

მუხლი 18. ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილ კანონის დარღვევათა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის თაობაზე სამხედრო პროკურორს შეაქვს წერილობითი წარდგინება იმ სამხედრო უწყებაში ან თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია აღკვეთოს ეს დარღვევები. წარდგინების განხილვა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში და შედეგი ეცნობოს სამხედრო პროკურორს.

მუხლი 19. კანონის დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე სამხედრო პროკურორს შეუძლია გამოიტანოს დადგენილება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან დისციპლინური საქმის წარმოების აღძვრის შესახებ.

დადგენილება ადმინისტრაციული ან დისციპლინური საქმის წარმოების აღძვრის შესახებ განიხილება ადგილზე მიღებიდან ათი დღის ვადაში და შედეგი ეცნობება სამხედრო პროკურორს.

მუხლი 20. სამხედრო პროკურორი ახორციელებს ზედამხედველობას შეიარაღებულ ძალებში მოქმედი მოკვლევის ორგანოებისა და სამხედრო პროკურატურის გამომძიებლების ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევისა და საგამოძიებო საქმიანობის კანონიერებაზე.

სამხედრო პროკურორის უფლებამოსილება მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას განსაზღვრულია რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

მუხლი 21. სამხედრო პროკურორი უფლებამოსილია შეამოწმოს დროებითი დაკავების საკანში და შეიარაღებული ძალების სხვა სპეციალურ დაწესებულებებში დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, სასჯელისა და სამხედრო სასამართლოების ან სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას კანონის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა, გაეცნოს საჭირო დოკუმენტებს, გამოკითხოს დაკავებულები და დაპატიმრებულები, მოითხოვოს განმარტებები თანამდებობის პირებისაგან.

სამხედრო პროკურორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ გააუქმოს კანონის დარღვევით დადებული დისციპლინური სასჯელი, გაათავისუფლოს უკანონოდ დაკავებული და დაპატიმრებული პირი.

მუხლი 22. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამხედრო პროკურორი მონაწილეობს სამხედრო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვაში.

სამხედრო პროკურორის უფლებამოსილება სამხედრო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, გადაწყვეტილების, დადგენილებისა და განჩინების კანონიერების შემოწმებისას, განსაზღვრულია რესპუბლიკის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

მუხლი 23. სამხედრო პროკურატურის გამომძიებლები წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ იმ საქმეებზე, რომლებიც კანონით მათ კომპეტენციას განეკუთვნება, აგრეთვე საქმეებზე, რომლებიც მათ გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განკარგულებით.

სამხედრო პროკურატურის ქვემდებარეა საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რომელიც ჩაიდინეს სამხედრო მოსამსახურეებმა და სამხედრო ვალდებულებმა სასწავლო შეკრების გავლის დროს, აგრეთვე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ოფიცრებმა და რიგითებმა.

წინასწარი გამოძიების წარმოების დროს სამხედრო პროკურატურის გამომძიებელი სარგებლობს ყველა უფლებამოსილებით, რაც მინიჭებული აქვს გამომძიებელს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

თავი IV
სამხედრო პროკურატურის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

მუხლი 24. სამხედრო პროკურატურის ორგანოებში თანამდებობაზე სამუშაოდ მიიღებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობენ ქართულ ენას და ხასიათდებიან დადებითად.

მუხლი 25. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს დაკავებული თანამდებობისა და სამუშაო სტაჟის შესაბამისად ენიჭებათ სპეციალური წოდებები კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 26. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს ხელფასი ენიშნებათ დაკავებული თანამდებობის, წელთა ნამსახურობის და სპეციალური წოდების გათვალისწინებით.

მუხლი 27. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებზე ვრცელდება ყველა ის შეღავათები და უზრუნველყოფის ნორმები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეებისთვისაა კანონით დადგენილი.

მუხლი 28. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებზე ვრცელდება ყველა ის მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები, რომლებიც პროკურატურის მუშაკებისთვისაა კანონით დადგენილი.

მუხლი 29. სამხედრო პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან; სამსახურებრივი შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მუხლი 30. სამხედრო პროკურატურის სამსახურებრივი შენობების დაცვა და საბადრაგო მომსახურება ხორციელდება შინაგანი ჯარების მიერ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის
სპიკერი
ვ. გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 28 დეკემბერი.

რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ხელშეკრულებას შეიძლება ველოდოთ თვენახევრის შემდეგ

საქართველოს მთავრობის დელეგაციამ ვიცე-პრემიერის რომან გოცირიძის ხელმძღვანელობით 5 ნოემბერს მოლაპარაკება გამართა რუსეთის ფედერაციის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან ვლადიმერ მაშიცთან ფართო წრის საკითხებზე. „ინტერფაქსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში რ. გოცირიძემ თქვა, რომ განიხილეს ფულად-საკრედიტო ურთიერთობანი, საწარმოთაშორის ურთიერთანგარიშსწორებანი, საქართველოს უზრუნველყოფა ნაღდი ფულით, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, საბაჟო პრობლემები, სავაჭრო რეჟიმი.

რ. გოცირიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეიძლება დაიდოს თვენახევრის განმავლობაში. დღის წესრიგის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს შორის იყო საქართველოში ნაღდი ფულის ნაკლებობა, ამ მომენტისათვის 15 მილიარდამდე მანეთი. როგორც მან თქვა, ეს თანხა საშუალებას მოგვცემს დავფაროთ რესპუბლიკის მოსახლეობის დეკემბრის ხელფასის დავალიანება და გავცეთ იგი იანვარში. ყოველთვიურად საქართველოს ხელფასისათვის სჭირდება 10 მილიარდ მანეთზე მეტი. „თუ ჩვენ და რუსეთმა ვერ გავუგეთ ამ საკითხში, მაშინ საქართველომ უნდა დააჩქაროს ეროვნული ვალუტის შემოღება, — თქვა გოცირიძემ. მან აღიარა, რომ ამ ეტაპზე ეს უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკასა და რუსეთთან ურთიერთობაზე“, და გაიხსენა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს გამოცდილება.

ვიცე-პრემიერს მიაჩნია, რომ საქართველოს დღეს ფაქტობრივად არ შეუძლია აწარმოოს რუსეთთან ანგარიშსწორება კონვერტირებული ვალუტით. მოლაპარაკებაზე განიხილეს საქართველოსათვის ტექნიკური კრედიტის მიცემის საკითხი. 1993 წლის პირველ კვარტალში, გოცირიძის აზრით, მან უნდა შეადგინოს 30-40 მილიარდი მანეთი. „საქართველოს შეუძლია უზრუნველყოს რუსეთი ამ თანხის თავისი საქონლით“.

შეიარაღებული ძალმომრეობის შემდგომი ესკალაციის აღსაკვეთად

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

ახლა უკვე ათი დღეა ნაციონალ-სეპარატიზმის შხამით მოწამლული გუდაუთელი ექსტრემისტები ახორციელებენ აშკარად ახალი წლის დღეებისთვის დაგეგმილ არაადამიანურ აქციას — სულ უფრო ინტენსიურად უშენენ ცეცხლს აფხაზეთის დედაქალაქს, მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკურ, კულტურულ, საკურორტო ცენტრს ქალაქ სოხუმს.

სისხლში ხელგასვრილ არძინბას ხროვაზე არ ჭრის არც გაფრთხილებანი, არც საქართველოს მეომართა თავშეკავება, არც ქალაქის მოსახლეობის აფხაზური ნაწილის თხოვნა. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. მოთმინების ფიალა აევსოთ სოხუმის დამცველებსაც, რომლებსაც არა აქვთ უფლება კვლავაც სარისკოდ გახადონ სოხუმელთა სიცოცხლე, ასე ვთქვათ „საზოგადოებრივი აზრის“ იმ წარმომადგენელთა გულის მოსაგებად, რომლებიც ჩქმალავენ დღევანდელ რეალიებს, არ სურთ ობიექტურად შეაფასონ აფხაზეთში მიმდინარე სისხლისღვრის მიზეზები და შედეგები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აცხადებს, რომ არ აპირებს კვლავაც აიტანოს ქალაქ სოხუმის ბარბაროსული მოსპობა, რაც მისი მოსახლეობის გენოციდთან არის დაკავშირებული, და მოითხოვს, რომ აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაწილების სარდლობამ დარტყმას დარტყმით უპასუხოს: აღკვეთოს გუდაუთელი ბოევიკების მხრივ შეიარაღებული ძალმომრეობის შემდგომი ესკალაცია.

თამაზ ნადარეიშვილი,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ქ. სოხუმი.
1993 წლის 5 იანვარი

რომან მიმინოშვილი

ისევ მაოხრებელი გზირი

პოლემიკა

(პასუხად ჩემს დარაზმულ ოპონენტებს)

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარი სურვილი არა მქონია კვლავ რაიმე დამეწერა გამსახურდიას რეჟიმზე, მაგრამ მაოხრებელი გზირივით ვერ მოვიშორე იგი. გაზეთ „იბერია-სპექტრს“ გადაუწყვეტია წლისთავი გადაუხადოს განსვენებულს, ოთხ გვერდზე საერთო რუბრიკით — „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების წლისთავისათვის“, დაბეჭდილია შესანდობარ-მოსაგონარი წერილები: „კონტრრევოლუცია“, „რა მოვიგეთ“, „ღირდა ყოველივე ამად?“ „ტკივილიანი წელიწადი“, „ნაღვლიანად მოგვიახლოვდა ქრისტეშობისთვე“, „რედაქცია გაკვირვებულია“, „გამართლება არა აქვს“... საკმარისია მარტო სათაურები წაიკითხოთ, რომ მიხვდებით, შიგ რა სწერია და რომელ გაზეთშია დაბეჭდილი.

რედაქციამ უსაშველოდ დიდი პატივი დამდო. წლისთავზე მიმიწვია! არ მაგონდება გაზეთი, რომელსაც ერთ ნომერში ერთი და იმავე ავტორისთვის ანგარიშის გასასწორებლად სამი წერილი დაებეჭდოს. ასეთი „ბედნიერება“ მე მხვდა წილად, ეს წერილები გახლავთ ექიმ-პედიატრის მაია ღვანიძის — „სადამდე მიჰყავს ბოლმას“, ინჟინერ ნოდარ შარაძის — „ნების“ ყბედობა“ და ლევან შენგელაიას (ალბათ ჟურნალისტის) — „ნებით“ გავრცელებული ჭორი“, რაკი ქელეხზე გახლავართ მიწვეული, ერთი-ორი თბილი სიტყვა ხომ მეც უნდა ვთქვა მიცვალებულზე? რადგან ყველა არსებული სქესის სამი წარმომადგენელი ერთად გამოდის ალავერდს. ჩემი მხრით უზრდელობა იქნება, არ ვუპასუხო.

პირველ ყოვლისა, ქალბატონ მაია ღვანიძეს მოვახსენებ სათქმელს (ზრდილობიანმა რედაქციამაც მას დაუთმო პირველობა). ავტორს არ მოსწონებია ჩემი სტატიიდან სიტყვები: „ნურავინ დაიჯერებს, რომ იგი (ზვიად გამსახურდია) პოეტია ან მეცნიერი, ან პოლიტიკოსი... ჯერ იყო და ქრისტიანობისათვის მებრძოლ რაინდად აჩვენა ხალხს თავი, ახლა კი მუსლიმანურ გარემოცვაში მყოფი მზად არის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ჯარისკაცად ჩაირიცხოს“ — და მაფრთხილებს: „ღმერთს ნუ სცოდავთ, ბატონო რომან!“. შემდეგ განაგრძობს: „კონსტანტინე გამსახურდიას შთამომავალი ისე არ დაეცემა, რომ თავის ხალხს დაუპირისპირდეს... თავისი ერის სიყვარულიდან გამოდის (?) და სწორედ ამიტომ შეაფარა თავი ახლომდებარე ტერიტორიას“.

მართალი ბრძანდება ქალბატონი მაია, ზვიად გამსახურდია მართლაც თავისი ერის სიყვარულიდან გამოსული და სადღაც წასული! კიდევ ერთხელ შევახსენებ მას მთიელ ხალხთა კონფედერაციის სხდომას, რომელსაც ესწრებოდა ექსპრეზიდენტი და მხარს უბამდა მისი სამშობლოს შემგინებლებს, მისსავე სიტყვებს შევახსენებ, საქართველოში ეროვნულ დაუმორჩილებლობას მე ვხელმძღვანელობ (ხოლო ეს „დაუმორჩილებლობა“ რომ ტერორიზმით და დივერსიით გამოიხატება, აშკარაა!) და იმ სამარცხვინო კადრსაც შევახსენებ, როცა საქართველოს „პრეზიდენტი“ ფინიასავით უკან მისდევდა ჩეჩნეთის პრეზიდენტს და ცდილობდა დიდად არ ჩამორჩენოდა, რეჩხვენოდა! გახსოვთ ასეთი კადრი ტელეეკრანიდან?

არც ის გახსოვთ, არძინბას რომ ბანი მისცა და აფხაზეთის კონფლიქტს ქართველთა აგრესია და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის გენოციდი უწოდა? არც ის გახსოვთ, რომ კონფედერაციის მესვეურებს აღუთქვა, თუ უზენაესმა ინება, თქვენს ჯარისკაცად მიგულეთო? არაფერი გახსოვთ, სულ არაფერი?.. „ახლომდებარე ტერიტორია“ არ იყო სომხეთი, რას გარბოდა გროზნოში? („გული გულს იცნობს და ლონეს ლონე!“).

ექიმ-პედიატრი ამასაც წერს: „როგორც თქვენი სიტყვებიდან ირკვევა, ყოველივე თავის ადგილს დგება მხოლოდ მაშინ, თუ დიდი კონსტანტინეს შთამომავლობა დედა-ბუდიანად, ფესვებიანად — განადგურდება“, დიდი კონსტანტინე, ანუ კონსტანტინე გამსახურდია არ მიხსენებია და არც უნდა მეხსენებინა. ჩემს სტატიაში დასმულ საკითხებთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. ავტორმა განა არ იცის, რომ, მაგალითად, დავით კლდიაშვილი კლასიკოსია, მაგრამ ეს სულაც არ ავალდებულებს მის შვილიშვილს ბ-ნ ირაკლი გოცირიძეს, ვინც ეს სტატია თავის გაზეთში გამოაქვეყნა, თვითონაც დიდი მწერალი და კეთილშობილი ადამიანი იყოს! არის ისეთი, როგორიც არის. ილია ჭავჭავაძეს კი საერთოდ არ ჰყოლია შვილი. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? რატომ მაბნევთ, ბატონო პედიატრო?

რაც შეეხება ფესვების ამოძირკვას, ჩემს სტატიაში სულაც არ არის გვაროვნულ ფესვებზე ლაპარაკი. წერილს „პაიკის მისსია“ ჰქვია. მე მიმაჩნია, რომ გამსახურდიაც, არძინბაც, დუდაევიც მხოლოდ პაიკებია დიდ საჭადრაკო დაფაზე, რომელზედაც იმპერიული ძალები თავიანთ პარტიას თამაშობენ. ისინი წარმოშვა თავისი ნების აღსასრულებლად იმპერიამ, ამიტომ მისი ყლორტები არიან და უნდა ამოიძირკვოს სწორედ ის იმპერიული ფესვი და არა გამსახურდიების, არძინბების თუ დუდაევების გვარები.

ჩემს სტატიაში არ არის ლაპარაკი კონსტანტინე გამსახურდიას, ან ამ გვარის უფრო შორეული წინაპრის — გამსახურდია ტარტარაშვილის ფესვებზე ან გენებზე. პედიატრია, შესაძლოა, დიდ პატივს სცემს გენეტიკას, მაგრამ, უნდა გაითვალისწინოს, პირველ ყოვლისა, გარეშე ფაქტორებით გამოწვეული ავადმყოფობაც.

(დასასრული მე-3 გვ.).

ისევ მაოხრებელი გზირი

პოლემიკა

(პასუხად ჩემს დარაზმულ ოპონენტებს)

(დასასრული)

თუ ქალბატონი მაია ღვანიძე ჩემს დამუნათებას ცდილობს და „ღმერთს ნუ სცოდავო“ მაფრთხილებს, ინჟინერი ნოდარ შარაძე უფრო „ვაჟკაცურად“ იქცევა: ჩემს წერილს „ყბედობას“, „ბატონ რომან მიმინოშვილის აბდაუბდას“ უწოდებს, თანაც თითქმის ყოველ აბზაცს ასე იწყებს: „ბოლოს და ბოლოს, ბატონო რომან, უნდა შეიგნოთ და აღიაროთ...“ რა მეთქმის, ჩემს ოპონენტს ზრდილობას ვერ დავუწუნებ, სულ „ბატონობით“ მომმართავს, მერე რას იტყვის, რა მნიშვნელობა აქვს! მაგრამ მაინც, ჩემს დასაცავად არა, საქართველოს დასაცავად ვალდებული ვარ, „შეგნებულ“ ინჟინერს და „იბერია-სპექტრის“ ფრთხილ რედაქციას, რომელიც პრესაზე არსებულ კანონმდებლობას „იცავს“, შევახსენო: არავისა აქვს საქართველოს კონსტიტუციის გინების უფლება! ამისთვის რედაქციას ორასი მანეთით კი არ დააჯარიმებენ, როგორც რეგისტრაციაში გაუტარებლობის გამო მოხდა, შეიძლება დახურონ კიდეც! დავდგეთ მერე და ვიყვიროთ, პრესის თავისუფლებას ახშობენო?

აი, რას წერს ინჟინერი და რას ბეჭდავს რედაქტორი: „ვინც ეს კონსტიტუცია „შემოაგდო“, იმან იცოდა, რასაც აკეთებდა. ამ უდღეური (!) კონსტიტუციით საქართველოს რაც დაატყდა თავს ყველასათვის კარგად არის ცნობილი“... და ცოტა ქვემოთ: „ყბადაღებული 21 წლის კონსტიტუციით“...

დასცინით, ბატონებო, საქართველოს? ვიღაცის შემოგდებული, უდღეური და ყბადაღებული კონსტიტუცია გვაქვს?

კაცი რომ ქვეყნის კონსტიტუციას ასე იხსენიებს, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩააგდებს ამ ხელისუფლებას: „ბოლოს და ბოლოს, ბატონო რომან, უნდა შეიგნოთ და აღიაროთ, რომ ახლადარჩეული პარლამენტი შეიქმნა არა 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, არამედ ხელისუფლებაში ძალადობით, ცეცხლითა და მახვილით მოსული თვითმარქვია მთავრობის მიერ“, და შემდეგ: — „ასეთ პირობებში ჩატარებული „არჩევნების“ შედეგები არაა ხალხის ნების გამომხატველი“.

ამის შემდეგ რა პრეტენზია უნდა მქონდეს, რომ „შეგნებული“ ოპონენტი ჩემს წერილს რამეს გაუგებდა და რაიმე დასკვნას გამოიტანდა! გაზეთი „ნები“, სადაც ჩემი სტატია დაიბეჭდა, არის ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის და საქართველოს პენ-ცენტრის ორგანო. „შეგნებულ“ ინჟინერს არ სცოდნია, რას ნიშნავს საერთაშორისო ორგანიზაციის, პენ-კლუბის წევრი საქართველოს პენ-ცენტრი, მაგრამ ეს შეეძლო იმ გაზეთიდან გაეგო და თვითონ არ დაეწერა ასეთი აბდაუბდა: „მაპატიოს მკითხველმაც, გაზეთის რედკოლეგიამაც და რა თქმა უნდა ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის საქართველოს პრეს-ცენტრის (?) თანამშრომლებმაც, მაგრამ ძნელია, უფრო მეტიც, შეუძლებელია წაიკითხო ეს ნაცოდვილარი და წარმოიდგინო და არ აღელდე (?), რომ შექმნილია კიდევ ერთი, ჟურნალისტიკის ჟანრი „ყბედობა“. ეტყობა, ჩვენმა „აღელვებულმა“ ინჟინერმა არც წაიკითხა ჩემი წერილი, ისე უწოდა მას „ნაცოდვილარი“ და „აბდაუბდა“, მაგრამ მისთვის მთავარი იყო არა იმდენად ჩემი, რამდენადაც ხელისუფლების ლანძღვა და საქართველოს კონსტიტუციის შეურაცხყოფა. მე შენ გეტყვი, ვინმე მოსთხოვს პასუხს, თუ რა! ჩვენ „ოსტანკინოს“, „ვესტის“, რუსეთის პრესის ბრალდებები ვერ აგვიტანია, აღშფოთებულები ვართ, როგორ გვაბრალებენ აფხაზების გენოციდს, როგორ გვიწოდებენ საკუთარ ქვეყანაში ოკუპანტებს და აგრესორებს და აგერ, ყურისძირში ჩაგვჩხავიან ჩვენივე თანამემამულენი: უდღეური, შემოგდებული, ყბადაღებული კონსტიტუცია გვაქვს და თვითმარქვია ხელისუფლება გვყავს, ესე იგი, ჩვენ სახელმწიფო კი არა, არარაობა ვართო და ხმას ვერ ვიღებთ, რომ პრესის თავისუფლების ჩახშობა არ დაგვბრალდეს!

ლევან შენგელაიას წერილს ჰქვია „ნებით“ გავრცელებული ჭორი“. მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, ჭორი რა შუაშია, შეიძლებოდა ამ სიტყვის ნაცვლად ყოფილიყო „ჭირი“, „ჭური“, „ჭერი“ ან სულაც „ჭანჭური“, იქნებ ავტორმა არც ისე კარგად იცის ქართული, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს ჭორი და თუნდაც მისთვის მიუღებელი არგუმენტებით ინტერპრეტირებული სინამდვილე? „აღელვებულ“ რუსულ-ქართულ რედაქციას ამას მაინც და მაინც ნუ მოვთხოვთ. მაგრამ ჟურნალისტს, ალბათ, ის მაინც მოეთხოვება, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს ინტერვიუ და სარედაქციო კითხვარებზე სხვადასხვა ავტორის მიერ გაცემული პასუხები. ლ. შენგელაია გაზეთ „ნების“ შესახებ გვატყობინებს: „ის ნოვატორული გაზეთიცაა. რად ღირს მაგალითად ის, რომ მასში მოთავსებულია გაზეთის კორესპონდენტის ინტერვიუ ამავე გაზეთის მთავარ რედაქტორთან... რომან მიმინოშვილთან!?“

გაზეთ „ნებში“ დაიბეჭდა ოთხი კითხვა, რომლებზეც პასუხი გასცეს ახლადარჩეული პარლამენტის წევრებმა ვალერიან ადვაძემ, თენგიზ ბუაჩიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა და რომან მიმინოშვილმა. მათგან ბატონი თ. ბუაჩიძე ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის შექმნისა და იმთავითვე მისი გამგეობის წევრი, ბატონი ვ. ადვაძე — თავმჯდომარე, რ. მიმინოშვილი — თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ბატონი ჯ. ჩარკვიანი ამავე კავშირის გამგეობის წევრი, და, რაც მთავარია, გაზეთ „ნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ორგანიზაციის — საქართველოს პენ-ცენტრის პრეზიდენტი. განა ეს მასალა შეიძლება ჩაითვალოს ინტერვიუდ გაზეთის მთავარ რედაქტორთან? ბატონი ვ. ადვაძე და ბატონი ჯ. ჩარკვიანი გაზეთის რედკოლეგიის წევრებიც არიან, იქნებ იმათაც არ ჰქონდათ კითხვებზე პასუხის გაცემის უფლება?

ბატონი ლევანი წერს: „როცა მისი პირველი ნომერი შეუმჩნეველი დარჩა მკითხველთათვის, რედაქციამ გადაწყვიტა სასწრაფოდ მიიზიდოს მათი ყურადღება და უკვე მეორე ნომერში (14-20 ნოემბერი) დაიბეჭდა ზემოთაღნიშნული ავტორის სტატია სათაურით „იბერია-სპექტრის“ კრიახი“... (?)“. ფრჩხილებში ჩასმული კითხვის ნიშანი კრიტიკოსს ეკუთვნის. ალბათ ვერ გაიგო, რას ნიშნავს სიტყვა „კრიახი“. ავუხსნი: დედალს რომ რაღაც შეაშფოთებს, აქოთქოთდება და აკაკანდება. იმას ჰქვია კრიახი. სხვათა შორის, გაზეთის ერთ ნომერში ერთსა და იმავე კაცზე დაწერილი სამი ისტერიული სტატიაც კრიახი გახლავთ. რაც შეეხება პოპულარობას, „ნებს“ არ სჭირდება იგი „იბერია-სპექტრის“ ხარჯზე. ამიტომ ტყუილად მაბრალებთ, ბატონებო, ჰეროსტრატობას. მოგეხსენებათ ჰეროსტრატემ საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი — არტემიდეს ტაძარი დაწვა ეფესოში. მართალია, „იბერია-სპექტრი“ მსოფლიოს მერვე საოცრებაა, მაგრამ მის დაწვას მე როგორ მოვახერხებ, იმდენი წყალი ურევია!

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ვრცელი ციტატისათვის — ბატონ ლევან შენგელაიას ოპუსიდან: „მაინც რამ გააბრაზა ასე ჩვენი კრიტიკოსი? მისი აღშფოთების მიზეზი ყოფილა „იბერია-სპექტრში“ 23 ოქტომბერს დაბეჭდილი დიალოგი ე. შევარდნაძესა და გაზეთის მთავარი რედაქტორის ი. გოცირიძეს შორის. ჯერ ერთი, ეს არავითარი დიალოგი არ არისო, მიგვითითებს მკაცრად ავტორი, არამედ ჩვეულებრივი ინტერვიუა. მერედა „აქ არის გამოყენებული ერთი მარტივი ჟურნალისტური ფანდი“, რომლის მეშვეობით „ისეთ რამეზე დაათანხმებს მოსაუბრეს, რაც მას აზრად არ მოსვლია“. რა არის ეს, თუ არა შეურაცხყოფა ბატონი ე. შევარდნაძისა? ავტორს იგი ფაქტიურად გამოჰყავს რობოტად, რომელიც ბრმად და მორჩილად მიჰყვება თავის მოსაუბრეს, ეს უკანასკნელი კი ყველანაირი ხრიკებით ათქმევინებს იმას, „რაც მას აზრად არ მოსვლია“. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ბატონი მიმინოშვილი არ გვეუბნება მაინც რა ხერხს მიმართა ჟურნალისტმა, რომ ასე აღიარებულ პოლიტიკოსს და გამორჩეულ პიროვნებას, როგორიც ბატონი ე. შევარდნაძეა ათქმევინა ის, რის თქმაც მას არ სურდა? მაგრამ აქ ყველაფერი ნათელია და გასაგები. საქმე იმაშია, რომ ბატონ მიმინოშვილს არანაირად არ აწყობს ბატონი შევარდნაძის პასუხები და რადგან ვერ ბედავს უშუალოდ მასთან შეპაექრებას, მთელი თავისი რისხვა წარმართა ჟურნალისტის წინააღმდეგ“.

აქ ყველაფერი ერთად არის ჩაყრილი, ჩიქორთული წინადადებები და სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, „არ აწყობს“, „გიპნოზი“ ჰიპნოზის ნაცვლად. მაგრამ ასეთი ვულგარულობა, ეტყობა, „ეპატიება“ რუსულ-ქართულ გაზეთს. ციტატაში არის დასკვნაც, რომ მე თითქოს შეურაცხყოფას ვაყენებ და რობოტად გამომყავს ბატონი ე. შევარდნაძე, რომელიც ავტორს გამორჩეულ პიროვნებად მიაჩნია, კრიტიკოსი ლაჩრობასაც მაბრალებს, თითქოს ბატონ ე. შევარდნაძეს შეპაექრებას ვერ ვუბედავ და მის ნაცვლად ჟურნალისტს ვებრძვი. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მისი განცხადება: „სამწუხაროა მხოლოდ, რომ ბატონი მიმინოშვილი არ გვეუბნება — მაინც რა ხერხს მიმართა ჟურნალისტმა (გიპნოზს ხომ არა?)“...

მართლა გჯერათ, ბატონო ლევან, რომ ბატონი ე. შევარდნაძე თქვენი რედაქტორის მიერ დასმულ კითხვას — „ისეთი კაცმოძულე პირები კი როგორებიც არიან, მაგალითად, პოეტი ჩარკვიანი და მისნაირნი, საზოგადოებას მოუწოდებენ „ზვიადისტები უნდა მოიკვეთონო“, უპასუხებდა: „დიახ?“ მაშ რა მოხდა, რა ჟურნალისტურ ფანდს ვგულისხმობდი, რომელიც თურმე, არ გამიმხელია მარტო ბატონ ლევან შენგელაიასთვის, ხოლო „ნების“ სხვა მკითხველებმა გაიგეს? გავიმეორებ, რაც ამ ფანდის შესახებ მიწერია. იქნებ გამოადგეს იგი ბატონ ლევანს ჟურნალისტური მოღვაწეობის დროს: „ჟურნალისტს (იგულისხმება ბატონი ი. გოცირიძე) არ სჭირდება მოსაუბრის აზრის დამახინჯება, საკმარისია მხოლოდ სათანადო რედაქცია გაუკეთოს საკუთარ კითხვებს, ოდნავ შეცვალოს მათი ტონალობა, რომ პასუხი კითხვის ას[illegible] და მაშინვე მოიპოვებს უპირატესობას [illegible], ისეთ რამეზე დაათანხმებს მოპასუხეს, რაც მას აზრად არ მოსვლია“. განა ნათელი არ არის, რა ფანდზეა ლაპარაკი?“ მე შეგეკითხებით: „თოვლი თეთრია?“ თქვენ მიპასუხებთ — „რა თქმა უნდა, თეთრია!“ შემდეგ თქვენს პასუხს ხელს არ ვახლებ და გაზეთში დაბეჭდვის წინ შევცვლი კითხვას — „მური თეთრია?“ განა ჩემს სტატიაში არ არის მოყვანილი მაგალითები, როცა ბატონ ე. შევარდნაძის პასუხები სხვა კითხვებზეა გაცემული? როგორ ფიქრობთ, ბატონი ლ. შენგელაია, კაცმა, [illegible] აც თვითონვე, მადლობა [illegible] გამორჩეულს უწოდებს, ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ? თქვენ შეგიძლიათ, „იბერია-სპექტრელებო“, მიპასუხოთ — დიალოგი დიქტოფონზე ჩავწერეთო. ვისი დიქტოფონი იყო? მექოთნისა არ იყოს, თუ იკადრა, სადაც უნდა, მოაბამს ყურს ქოთანს.

მთავარი ბატონ ლ. შენგელაიასთვისაც ჩემი კრიტიკის საბაბით ხელისუფლების ლანძღვა გახლავთ. იგი ამართლებს იმ საარჩევნო კანონსაც, რომლის ძალითაც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში უმცირესობის წარმომადგენელ აფხაზებს მანდატების უმრავლესობა ერგოთ. ამით ფაქტობრივად ამართლებს ვ. არძინბას პოლიტიკასაც: „კანონი, რომელსაც ბატონი მიმინოშვილი „აპარტეიდულს“ უწოდებს, როგორც ყველასათვის ცნობილია, კომპრომისული იყო და შექმნილ ვითარებაში (აფხაზეთის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადაგასულობის პირობებში), როცა ახალი არჩევნები არ ინიშნებოდა სწორედ იმის შიშით, რომ ადგილობრივი მმართველები დაკარგავდნენ ჩვეულ პრივილეგიებს — ერთადერთ გამოსავლად ჩანდა... აფხაზეთის მხარესთან მიღწეული ის შეთანხმება პოლიტიკური ხერხებით სიძნელეების და წინააღმდეგობების დაძლევის კარგი წინაპირობა იყო“...

როგორი „კარგი წინაპირობა“ გამოდგა ეს კანონი, ისტორიამ დაგვანახა! აფხაზეთი გამსახურდიამ არძინბას ბითუმად მიჰყიდა! სწორედ ამიტომ მადლიერმა ვლადისლავ არძინბამ მას „სამეგრელოს ტახტიც“ კი შესთავაზა! განა აფხაზეთის იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლა (ან „ვადაგადასულება“, როგორც ავტორი ბრძანებს), აფხაზეთის იმდროინდელი მმართველების მიერ პრივილეგიების დაკარგვა საქართველოს ხელისუფლების თავსატეხი იყო, რომ ასეთ გაუგონარ დათმობებზე დათანხმდა იგი? ამაზე ხომ აფხაზ მმართველებს უნდა ეზრუნათ და თვით დაეთმოთ ზოგი რამ!

„არ შემიძლია არ შევჩერდე აგრეთვე საინტერესო „აღმოჩენაზე“, რომელსაც ჰქვია „გუდაუთა-გროზნო-მოსკოვის ღერძი“, — განაგრძობს ლ. შენგელაია, — აფხაზ სეპარატისტთა და რუსეთის ექსპანსიონისტთა მჭიდრო კავშირი ეჭვს არავისში არ იწვევს, მაგრამ გროზნო? როგორ შეიძლება ის იყოს დაკავშირებული მოსკოვთან, რომელიც იბრძვის ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და წარმოადგენს მისთვის ყველაზე საშიშ და მოსისხლე მტერს“.

არ იფიქროთ, რომ ამ სიტყვების ავტორს ჩეჩნეთის ბედი ან ჭეშმარიტება აწუხებდეს, ჩეჩნეთში თავისი „პრეზიდენტი“ ეგულება და ვერ შერიგებია მის გარევას საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აქციებში. თუ გუდაუთა-მოსკოვის კავშირი არ ეჭვება გუდაუთა-გროზნოს და მასთან ერთად ჩრდილო-კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ალიანსი რატომ უკვირს? ვინ ებრძვის ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას, მასთან ერთად მთიელ ხალხთა კონფედერაციას, გროზნოში შეხიზნულ გამსახურდიას, მოსკოვი? ის მოსკოვი, რომელიც არძინბასთან არის დაკავშირებული? თვით მოსკოვი არ გახლავთ ერთგვაროვანი, მოსკოვი ებრძვის მოსკოვსაც.

ჩვენს სტატიაში დასმულ კითხვაზე — „როგორი ოვაციით გააცილა საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას კურთხევით სამაჩაბლოში რუსი გენერალი, როგორ დაუკანონა რუსის შინაგან ჯარს აქ „წესრიგის დამყარება?“ — პატივცემული ოპონენტი უცნაურ პასუხს იძლევა: „ბატონ მიმინოშვილს ავიწყდება ერთი პატარა მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსი: რუსის ჯარი სამაჩაბლოში საქართველოს ხელისუფლებას არ მიუპატიჟებია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის ნაწილი უკვე იდგა აღნიშნულ რეგიონში და უმაღლესმა საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით, უბრალოდ რომ ვთქვათ, — აიყვანა ის თავისი იურისდიქციის ქვეშ, რაც შემდგომში ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდა მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე“.

იძულებული ვარ, გავიმეორო: რუსის ჯარი სწორედ საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიპატიჟა ცხინვალის რეგიონში. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ იქ იდგა ჩვენს დაუკითხავად შემოსული ჯარის ნაწილები. მთავარი ის არის რომ ჩვენ ვუთხარით — მიირთვით, ბატონო, გემრიელი კერძიო! ქართული მილიციაც გამოვიყვანეთ იქიდან, რომ ულუფის თქვლეფაში სსრკ-ს შინაგან ჯარს და უზენაესი საბჭოს სესიაზე ოვაციით გაცილებულ გენერალს ხელი არ შეშლოდა!

კიდევ უფრო უცნაურია გონებამახვილი ოპონენტის დასკვნა: სხვა ამბავია — სწორად მოიქცა თუ არა უზენაესი საბჭო ამ კონკრეტულ ვითარებაში? მე მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც ამ აზრისა ვარ, რომ ის გადაწყვეტილება მცდარი იყო“.

ცოტა ხანს მაინც მოეცა ჩემთვის დაფიქრების საშუალება, იქნებ მართლა ვცდებოდი? იქვე მოწყალედ გამომიწოდა ხელი ოპონენტმა: მეც შენთანა ვარ, უზენაესი საბჭო მართლა შეცდა! მადლობას მოგახსენებთ, ბატონო ლევან! ალბათ, პატივცემული რედაქტორი არაა თანახმა, თორემ სხვა საკითხებშიც მხარს დამიჭერდით...

ღიმილს იწვევს რუსის ჯარის საქართველოს იურისდიქციაში ყოფნის საკითხი. ეს თურმე, პრაქტიკულად განხორციელებულა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე. თუ იცით, რუსეთს საერთოდ დარჩა ჯარი?

წერილის ბოლოს ოპონენტი „გამანადგურებელ დარტყმას“ მაყენებს: „თავის „პოლემიკას“ ბატონი მიმინოშვილი ამთავრებს მტკიცებით, რომ წინა ხელისუფლება არაკონსტიტუციური იყო, რადგან ის „მოვიდა საბჭოთა არჩევნების შედეგად“. საინტერესო დასკვნაა უთუოდ! მაშ, რატომ იღებდა ამ „უკანონო“ არჩევნებში მონაწილეობას თვით ბატონი მიმინოშვილი „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის“ შემადგენლობაში? რატომ იყრიდა კენჭს ამ კავშირის თავკაცი ასევე „უკანონო“ საპრეზიდენტო არჩევნებში? ეს არჩევნები წარმატებით რომ დამთავრებულიყო მათთვის, მაინც იტყოდნენ, რომ არჩევნები არაკონსტიტუციური იყოო?“

ბატონმა ვალერიან ადვაძემ არაერთხელ განაცხადა, რატომ იღებდა იგი მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს ჩვენი თხოვნით მოხდა, არა მარტო ჩვენი კავშირის, არამედ სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების თხოვნითაც, რათა ერთი თვით მაინც გახსნილიყო საჯაროობის მჭიდროდ დახშული სარკმელი, სიმართლე გვეთქვა ხალხისთვის, მსოფლიოსთვისაც გაგვეგებინებინა, რომ საქართველო არ არის მარტო „მრგვალი მაგიდა“, რომ ჩვენ არა ვართ ამ მაგიდის ფეხები. დემოკრატიულ მოძრაობაში ბატონების ვ. ადვაძის, ნ. ნათაძის, ი. შენგელაიას, თ. კვანჭანტირაძის და მათი ნდობით აღჭურვილი პირების გამოსვლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. იმავე მიზანს ემსახურებოდა 28 ოქტომბრის არჩევნებში „არამრგვალი“ პარტიების მონაწილეობა, რათა თუნდაც, საბჭოთა არჩევნების პირობებში შექმნილი უზენაესი საბჭო ყოფილიყო მრავალპარტიული და არა „მრგვალი“ ან კომუნისტური, რათა მომზადებულიყო ნიადაგი შემდგომი ლეგიტიმური პარლამენტისათვის. ზვიად გამსახურდია თავიდან თვითონაც უპირისპირდებოდა საბჭოთა არჩევნებს, მაგრამ ბოლოს, შესანიშნავად მოირგო იგი და აღარ ლაპარაკობდა, არაკონსტიტუციურიაო. ჩვენ ვითომ ვგავართ ექსპრეზიდენტს, რომ ასევე მოვქცეულიყავით? თქვენდა უნებურად, დიდი პატივი ხომ არ დაგვდეთ, ბატონო ლევან?

თავის სტატიას ლევან შენგელაია მეტად „ეფექტურად“ ამთავრებს: „ნები“ ხელის გულს ნიშნავს. სილას როგორც ცნობილია, სწორედ ხელის გულით არიგებენ, როგორც ჩანს, ამ გაზეთის საქმიანობაში ეს ფუნქცია მთავარი იქნება“.

„ნები“ თანხმობას, ხელის გაწოდებას, მიტევებას, მოფერებასაც გულისხმობს (რუსთაველს გავახსენებთ: „ჩემმან ხელმქმნელმან დამართოს ლაღმან და ლამაზმან ნებო“), ჩვენი გაზეთი, რომელიც ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირმა და საერთაშორისო სამწერლო ორგანიზაციამ დააფუძნეს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ფუნქციებს შეასრულებს, ხოლო რაც შეეხება სილას, ეჭვი არ შეგეპაროთ, ბატონებო, არავის მოვაკლებთ, ვინც ეცდება ჩვენი ტანჯული სამშობლოსთვის გზის გამრუდებას. სილის ისეთ ლაწალუფს ავტეხთ, „იბერია სპექტრსაც“ კი შეშურდება!

P. S. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს წერილს მელანიც არ ჰქონდა შემშრალი, როცა ითხზვებოდა ახალი „ფილიპიკა“ — „ქარიშხალი ჭიქა წყალში“, საახალწლო ნობათად რომ მომართვა „იბერია-სპექტრმა“ (№ 60, 29 დეკემბერი). მისმა ავტორმა, თანამედროვე დემოსთენემ, ბ-მა დავით ჯოხაძემ წერილის თავსა და ბოლოში კიდევ ერთხელ დაგვაშინა — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვარო. ალბათ, ის ფილოსოფია იგულისხმება, საბჭოთა კავშირში რომ მისი შესწავლით ყველას თავს ულაყებდნენ. ლენინური თავხედობა იყო, რომლის ძალითაც ფიზიკოსებს შეიძლება მატერიის აგებულება ასწავლო, ამიტომ არ მიკვირს ჩემს წინააღმდეგ ო[illegible] წერილი მეოთხე „ფილიპიკის“ ავტორის მოწადინება, როგორმე ერის გამთიშველად, მშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლად, „მსოფლიო კომუნიზმის აგენტად“ დამსახოს და ლამის სამართალში მიმცეს ამ კეთილშობილური პრინციპებისათვის „ერთადერთი მებრძოლის“ „იბერია-სპექტრის“ შეურაცხყოფის ბრალდებით. ვინ რისთვის იბრძვის, ხალხმა განსაჯოს! მე კი ჩემს თავს უფლებას მივცემ, როგორც „მხოლოდ“ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არ ავყვე ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის დემაგოგიას და მისი რჩევით კვლავ მივუბრუნდე პლატონის „დიალოგებს“, მით უმეტეს, რომ ბ-ნ ფილოსოფოსისგან განსხვავებით ბერძნულ დედანშიც მიმიწვდება ხელი და მის გასაგებად მარქსისტული კომენტარები არ მჭირდება. ბ-ნი დ. ჯოხაძე, ალბათ, ჩემგან სხვა პასუხს ელოდა, რათა პასუხის პასუხები ეწერა ამოჩემებულ თემაზე. იძულებული ვარ, გავაწბილო ისიც და რედაქციაც. რაკი ახალს ვერაფერს ამბობენ, რამდენ წერილსაც დაწერენ, იმდენჯერ წაიკითხონ წინამდებარე ჩემი წერილი. ეს იქნება ჩემი პასუხი.

რ. მ.

ომის დამთავრების წელიწადი

არმაზ სანებლიძე

27 დეკემბერს, სადილობამდე (რაიც აქ ფრიად პირობითი მცნებაა) „ავღანელები“ არავის შეუწუხებია.

წუხელ კი იყო სროლა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაარკვიეს — ვინ ისროდა და რატომ. იყო რამდენიმე ვერსია, ყველა — თავისი წილი ჭეშმარიტებით.

რასაკვირველია, ისევ წვიმდა და როცა თოვლი ჩაენაცვლა, ფართოდ გაიღო კარი და სანამ ოთახში მყოფნი შესძახებდნენ — კარი, კარიო! — მოსულმა, მაღალმა და ჩასკვნილმა, შავსვიტრიანმა ახალგაზრდამ (რომელმაც ოჩამჩირეში შედედებული რძის ქილა — პრესცენტრის საკუთრება! — გამოასუფთავა) გოგოლის „რევიზორის“ დასაწყისი რეპლიკის პერიფრაზით გვამცნო:

— Господа! Я пригласил вас с тем, чтобы сообщить пренеприятное известие: к нам прибыл снег!

ვიღაცამ ფანჯრის რაფას მიჭედებულ ლინოლიუმს კუთხე აუწია და გაიხედა, ვიღაცამ — არ გადამრიოო, უფრო მეტმა — კარი მაინც დახურეო! და ყველა რატომღაც კარგ გუნებაზე დადგა. ალბათ, იმიტომ, რომ ყველა, ერთის გამოკლებით (პაპას ეძახდნენ), ახალგაზრდა იყო და იმ ასაკიდან არც თუ დიდი ხნის წინ გამოსული, როცა თოვლი ძალიან, ძალიან უხარიათ.

თქვენ არ გიხარიათ?

ერთმა ანეკდოტი გაიხსენა უდაბნოში კისრამდე ჩაფლულ გამსახურდიაზე: — ქვიშა არ გეყოთ, ბოლომდე მიგეყარათო? მეორემ სხვა, და იყო სიცილ-ხორხოცი ყველაფერზე და არაფერზე.

თითქოს გარეთ ჩასაფრებული არ ყოფილიყო სიკვდილი.

ვიწექით სამსუნის ჯიშის თამბაქოს ფოთლებზე („მალბოროს“ თუთუნში ურევენო არომატისათვის, — ხალხური ინფორმაცია), იდგა სველი ტანსაცმლის სუნი, მეომრები ავტომატებს წმენდდნენ და გია მიქელაშვილი ისე ახვევდა ეზოში მდგარ თავის ჯავშნიან საბრძოლო მანქანას ცელოფანში (აფხაზებს წაართვეს „აფსნი-№ 1“), როგორც მზრუნველი დედა თოთო ბავშვს.

მდინარესთან, სველ ბუჩქებში ჩასაფრებული ბიჭები ზვერავდნენ მოწინააღმდეგის პოზიციას და რაციასთან ჩამჯდარი მეკავშირე რებუსებს გადასცემდა დაზიანებულ კამჩხსა და ნორმალურად მოძრავ მერცხალზე: იმეორებდა ეგზოტიკური ქალაქების სახელებს და მუსიკალური ინსტრუმენტების სახელწოდებებს: არ ყოფილა საუბარი სასმენელთა ჩემთათვის... შიფრია, მართალია, მარტივი, როგორც მოწაფის დღიური — ყველა მიხვდებოდა, რაზეც ლაპარაკობდნენ, თვითონაც ეღიმებოდათ, მაგრამ დაიცვეთ კონფიდენციალობა.

ერთი სიტყვით, კარგ გუნებაზე იყო ყველა და გურამ ჯანიაშვილმა (ნახევარი ოთახი რომ ეკავა ამ მთასავით კაცს) გუშინდელი ბრძოლის ეპიზოდი გაიხსენა.

— ყველაფერი რომ დამთავრდა და მოწინააღმდეგე გაჩუმდა, სახლში, მდინარის ნაპირთან რომ შენდება, რაღაც მოძრაობა შევნიშნე. გავიყოლიე ბიჭები და წავედი. ჩავუსაფრდით. ვხედავ, რომ იმ სახლში მართლაც ვიღაც არის. წვიმს და ძალიან ცუდად ჩანს. ჩუმად ვუახლოვდებით, იარაღი გამზადებული გვაქვს და რას ვხედავთ: საკმაოდ შეწუხებული და შეშფოთებული, საკმაოდ მოზრდილი ოთხი მაიმუნი სხვენზე გადებულ ფიცარზე გადი-გამოდის... დაგვინახეს და გაგვარდნენ. მერე სხვებსაც უნახავთ სოფელში.

რეპლიკა: — ეს ტამიშის მაიმუნსაშენიდან გამოქცეულები არიან. ცდებს ატარებდნენ, შიდსით არიან ინფიცირებული.

რას იხუმრებდნენ ამასთან დაკავშირებით მსმენელები, გასაგებია...

საუბარი კი გრძელდება.

— მიდის ალბათ თბილისში შამპანურით წუწაობა... — უფრო თავისთვის ამბობს ერთი, ეტყობა მაქსიმალისტი.

— და ტრაბახი: — ბიჭო, მე კაგებე ავიღე. არის ასეთი ხალხიც...

— ჩემი დედაბიჭები.

— თბილისმა იგრძნო უბედურება, — არ დაეთანხმა მეორე. — ძალიან ბევრია ომისგან გაუბედურებული ოჯახი.

— უბნებში სერიოზულად ლაპარაკობენ — წამოდი, მოხალისეებად ჩავეწეროთო.

— ამ ჩაწერაში ომიც გავა, — თავისაზე დგას პირველი.

— აბა, ჯარი სხვაგვარად ვერ შეიქმნება.

— ჯარი სადა გვაქვს? არმია არ არის საქართველოში.

— რაც არის, იმას რუსულად „სბროდი“ ჰქვია.

— ჰოდა „სბროდით“ ომს ვერ მოიგებ, ბრძოლას, კი, ბატონო!

— ჩვენი ბრალია, 89 წელს რომ ავტყდით და არმიაში აღარავინ გავუშვით, რა მოვიგეთ? სხვებმა გაუშვეს და ახლა გაწვრთნილი არმია ყავთ.

— თორემ ადრე ვიკლავდით თავს. სულ ის გვეგონა, სხვა დაგვიცავდა.

— „ტექნიკურად“ გაგვეცილებინა რუსის ჯარი და უფრო მეტ სარგებელს არ ვნახავდით?

ფრონტის წინა ხაზზე ცენზურა არ არის (მადლობა ღმერთს!) და იმას და ისე ამბობენ ბიჭები, როგორც ფიქრობენ და როგორადაც საჭიროდ მიაჩნიათ.

დასავლეთის ფრონტზე ცვლილებაა

პარლამენტსაც გადაწყვეტენ.

— [illegible]

— რა იქნა ყარყარაშვილი, რატომ არ ჩანს? — წუხდა შტაბის უფროსი.

ფლანგები ჩამორჩნენ „ავღანელებს“ და წრიული თავდაცვა ეკავათ ჩვენებს.

მზვერავებმა პოზიციაზე გამიყოლიეს ჯანიაშვილის ნებართვით.

* * *

ისევ თოვლ-ჭყაპი და ისეთივე მოსაბეზრებელი, როგორც ამ ფაქტის ხშირი გამეორება ამ წერილში.

ჰორიზონტი წაშლილია. იქიდან ზარბაზნების ხშირი და ყრუ სროლა ისმის.

— ყარყარაშვილი იბრძვის.

წვიმისა და ნისლის ფარდის იქით ადამიანების მოძრაობა ილანდება.

— ყურადღება! ვხედავ ჩვენსკენ მომავალ ჯგუფს! — გადასცემენ რაციით.

ვაკვირდებით — გვიახლოვდებიან, უიარაღოები არიან.

ბევრს არ გაგიგრძელებთ: ტყიდან გამოვიდნენ ქართველები, რომლებიც იძულებულნი შეიქმნენ საკუთარი სახლები მიეტოვებინათ. ტყეში დამალული ქართველები მოვიდნენ ჩვენთან.

* * *

გულუებს განსაკუთრებით მტრობენ აფხაზები, ულაპარაკოდ ხვრეტენ.

— 2 დეკემბერი იყო, — ყვება რუსლან გულუა, — იმ ჯგუფიდან ერთ-ერთი, — ეზოში რაღაც ხმაურზე მამა გავიდა და შემოსვლა რომ დააგვიანდა, გავხედე.

შეიარაღებული კაცები მდგარან ეზოში.

— არავაი! — აქ მოდიო, — აფხაზურად უთქვამს ერთს. გვარი რომ გაუგია — Давай, туда становись! — უბრძანებია მასვე.

მამისთვის და ორი ბიძისთვის ამოუყენებიათ რუსლანი.

— რატომ არ დაიმალეო? — უკითხავს მამას. რა ეპასუხა?

ტყისკენ წაიყვანეს გულუები.

— შედითო ტყეში. მამაჩემი მუხლებზე დაეცა და ეუბნება, — არ მომკლათ, არაფერი დამიშავებიაო. სამოცდაორი წლის კაცი იყო მამაჩემი. საშველი არ იყო მეტი და მამას ვუთხარი, — ნუ გეშინია, აქ სადმე მანქანა იქნე[illegible]

[illegible] მეორე გადარჩენილიყო ბედად, დაჭრილი.

— ისევ აქაურებმა გვიშველეს. ლაბრას თავმჯდომარე არდაშ ავეტიანი მოგვეხმარა ძალიან. ჯგერდაში ექიმმა გურგულიამ გაგვიკეთა ოპერაცია. მერე ტყვარჩელში ჩაგვიყვანეს. გუმბა ექიმმა გვიმკურნალა, აფხაზმა.

მამიდაჩემი აფხაზ კაცს ყავს ცოლად, იმან გამოგვიყვანა მერე ტყვარჩელიდან.

აწი რა გვიჭირს, თქვენ რომ შემოხვედით...

* * *

პარალელისათვის: ჩვენებმა რომ შეუტიეს, აფხაზებმა მძევალი ქალი მოკლეს სკოლაში, მეორე დაჭრეს. ვერ მოასწრეს, თორემ იმასაც მოკლავდნენ.

— ადგილობრივები?

— ჩემი მეზობლები იყვნენ. მოკლული გოგო ჯალალონიაა ინეზა და დაჭრილია ნაზი ჩხაპელია.

კიდევ ერთი პარალელი.

ტყიდან გამოსულების მონაყოლიდან:

— მოდიოდნენ აფხაზები, კედლებს მიგვაყუდებდნენ და გვხვრიტავდნენ.

კაცები, ქალები, სუყველანი წავედით ტყეში. მოვიდნენ მერე სხვა აფხაზები კვიტოულიდან, სიმართლე უნდა ვთქვათ, და ჩვენი ბავშვები და ქალები წაიყვანეს თავიანთ სახლებში. ვისაც იარაღი ეკავა, ისინი არ მოგვეხმარნენ, რასაკვირველია. მარტო გვესროდნენ.

კოჩარელები ვართ ჩვენ, იმ სოფლიდან.

ყველაფერი მიაქვთ, აი, რაც გვაცვია, ამის მეტი არაფერი დაგვრჩა.

— ამას თქვენი მეზობლები აკეთებენ, ვინც ბავშვები გადაგირჩინათ?

— არიან კარგებიც, აფხაზებს ყველას ვერ გავლანძღავ.

* * *

1988 წლის იანვრის პირველი დღეებია. ავღანეთის დედაქალაქში ნაჯიბულასთან მორიგი მოლაპარაკების ჩასატარებლად ედუარდ შევარდნაძე ჩადის.

ქვეყნის ბედის ისარი თორმეტზე იდგა — საბედიღბალო მიჯნაზე.

დღეს ყველამ იცის, რომ ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკური სასწაული მოახდინა — საბჭოთა ჯარი ავღანეთიდან გამოვიდა. ეს კი, არა მარტო უმყარესი სტერეოტიპების მსხვრევასთან იყო დაკავშირებული, არამედ უეჭველ პირად გამბედაობასაც საჭიროებდა, რაც ქაბულის ქუჩაბანდების ლაბირინთებიდან თვითმფრინავისთვის დამიზნებული „სტინგერების“ სრულ იგნორირებაში გამოიხატებოდა თუნდაც.

ისე აეწყო, რომ იმ დროს ტელეოპერატორ ამირან მურვანიძესთან ერთად ქაბულში ვიყავით. სხვა თუ არაფერი, პროფესიული თავმოყვარეობა გვიკარნახებდა, ედუარდ შევარდნაძისთვის ინტერვიუს ჩამორთმევას.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

და აი, ედუარდ შევარდნაძე ისევ ომშია, აფხაზეთში. ისევ ახალი წელია, პირველი იანვარი 93-ის.

— ბატონო ედუარდ, „ავღანეთის კუთხიდან“ რა პერსპექტივა უჩანს ამ ომს?

— ეს სულ სხვადასხვა ხასიათის ომებია. მე მგონი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ორი მოვლენის ერთ სიბრტყეში დაყენება. ის იყო დამპყრობლური ომი, რომლის დამთავრებასაც, მე, როგორც იტყვიან, ნახევარი სიცოცხლე შევალიე, უკანონო ომი იყო და ფაქტობრივად — იმპერიალისტური. ეს კი ომია ჩვენი ქვეყნის გადარჩენისათვის. საერთო თუ რამე აქვთ, — ესეც ისე მალეა დასამთავრებელი, როგორც ავღანეთის ომი.

— ფეხბედნიერად ჩახვედით მაშინ ავღანეთში, ეტყობა აქაც ბედნიერი იქნება...

— ეტყობა, უნდა იყოს.

— და კიდევ ერთი ომის, ინფორმაციული ომის შესახებ.

— ინფორმაციული ომის თაობაზე უნდა გითხრათ, რომ აქ ჩვენი სისუსტე გარკვეულად უთაობის ბრალია. ჩვენ არ შეიძლება წავაგოთ ეს ომი, იმიტომ, რომ მართლები ვართ და ვაგებთ კი იმიტომ, რომ ცოტა აქტიურობა გვაკლია. ახლა გაჩნდა ახალი ინსტიტუტები, ახალი ძალები. ახალი კადრები მოვიდნენ და, მე მგონი, რომ ამასაც ალბათ მოვუვლით.

* * *

მართალი ომია, სწორედ ამიტომ 1993 წელი ამ ომის დამთავრების წელიწადი იქნება.

სოხუმი-თბილისი.

სურათებზე: ეს ქართველი ახალგაზრდები 27 დეკემბერს გამოვიდნენ ტყიდან, სადაც თითქმის ერთ თვეს იმალებოდნენ (ზემო ფოტო). მარცხნიდან მეორე რუსლან გულუაა, რომელსაც აფხაზებმა მამა მოუკლეს; ქვემო ფოტოზე — ლაბრა, ჭერ კიდევ სოფელი, ნასოფლარამდე ნახევარგზაგავლილი.

ავტორის ფოტო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პაკისტანის გადაწყვეტილება

პაკისტანის მთავრობამ ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალა ავღანელი მოჯაჰედების საქმიანობა. ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო პროვინციის ადმინისტრაციამ, სადაც უკანასკნელ წლებში მოკალათებული იყო ავღანეთის ოპოზიცია, მიიღო მთავრობის დირექტივა მიმდინარე წლის 31 იანვრამდე დახუროს ყველა ავღანელი დაჯგუფების წარმომადგენლობა. პაკისტანის გამომცემლობებს მიეთითა შეწყვიტონ მოჯაჰედების გაზეთებისა და ნებისმიერი სხვა ლიტერატურის გამოცემა. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, მკაცრად დაისჯება. ამავე დროს გადაწყდა დახურონ პაკისტანში მოქმედი 50-ზე მეტი არარეგისტრირებული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებსაც უცხოელები პატრონობდნენ, უმეტეს შემთხვევაში სპარსეთის ყურის მდიდარი ქვეყნების მოქალაქეები.

ეხმარებიან რუსეთს

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ რუსეთს უგზავნიან უფასოდ არაქისის დიდ პარტიებს, დაახლოებით 2 ათას ტონას — 3 მილიონ დოლარად. ეს არის ნაწილი რუსეთისათვის განკუთვნილი ჰუმანური დახმარების პაკეტისა, რომლის მოცულობა 250 მილიონ დოლარს შეადგენს.

მოლაპარაკება ადის-აბებაში

ორშაბათს ეთიოპიის დედაქალაქში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს გალის თავმჯდომარეობით დაიწყო სომალის 15 ძირითადი ფრაქციის წარმომადგენელთა შეხვედრა სომალიში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის შესაწყვეტად და ეროვნული შერიგების მისაღწევად. ორმა შეხვედრამ მნიშვნელოვანი შედეგი ვერ გამოიღო, ოთხშაბათს სომალიში დაპირისპირებული დაჯგუფებების ლიდერები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. გაჩნდა იმედი, რომ მიღწეული იქნება თანხმობა.

ყველა ლიდერი პრინციპულად თანახმაა მიმდინარე წლის მარტში გამართონ „შერიგების ეროვნული კონფერენცია“ და შექმნან გაერთიანებული კომისია, რომელიც თვალყურს მიადევნებს სომალიში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებას.

ღიმილიანი პარალელები

ნანა ლვინეფაძე.

მოქმედების ადგილი: საზანო.

რემარკა: მდინარე ძუსის პირზე ვრცელი, ლამაზი ეზო. კანცელარიის შენობის აივანი — იგივე სცენა. ერთ-ერთ პატარა ოთახში ზის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი ემილია მიქაშავიძე, ხოფილში ყოველგვარი საგანმანათლებლო საქმიანობის წამომწყები და პატარ-პატარა ფურცლებზე იებს ხატავს — ესენი მოსაწვევი ბარათებია წარმოდგენისა, რომელიც საღამოს გაიმართება მსახიობ არეთა ლოლუასა და მისი მეუღლის, ფარმაცევტ ქრიშა მიქაშავიძის თაოსნობით. წარმოდგენის შემდეგ დამსწრეთ ვახშამზეც ეპატიჟებიან. ასე იყო „ციმბირელზე", ასე იყო „ქართლის დედაზე". საზანოში ლამის ერთი პატარა დასი ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეებისა: ვანიჩკა ფანჩულიძე, მარიამ წულაძე, წუნია და მზვარანა მიქაშავიძეები. მშვენიერო წუნია ქართლის დედად რომ დასვეს, — თამარ მეფეს ჰგავსო, ამბობდნენ თურმე საზანოელები.

მოსაღამოვდა. ძუსიდან ნიავმა დაუბერა. კანცელარიის ეზოში ნელ-ნელა იკრიბება ადგილობრივი და საზაფხულოდ ჩამოსული საზოგადოება. სცენისმოყვარეები „კულისებიდან" იჭვრიტებიან, თან იკაზმებიან და ფერუმარილს ისვამენ.

იწყება მოქმედება...

„სცენაზე" ქალ-ვაჟი საპირბოროტო საყოველდღეო ამბებზე საუბრობს.

— სამი შაური ღირსო და მალე აბაზი გახდებაო... — იაგორა მდივნის ქალიშვილის მურღიას ეს რეპლიკა საზანოში ხუმრობის საგნად იქცა...

ახლა ხომ — მით უფრო.

— ჩვენში ერთი კარგი მეურნე კაცი იყო, ვასილი ერქვა. ნაზიკო ხომ გახსოვს, იმის ბაბუა. სიმინდი უხვად მოჰყავდა და გასაცემიც მუდამ ჰქონდა. საუბარში „ბიძის" ხმარება იცოდა და ახალგაზრდობამ ეს ლექსი გამოუთქვა.

სურათები წარსულიდან

ვასილ ბიძი, ვასილ ბიძი,
ბათმან სიმინდს როგორ ყიდი?

ვასილ ბიძის „პასუხი":

ათ შაურად, გენაცვალე,
ორ აბაზადაც გავყიდიო!..
ნეტავ იმ დროს, ვასილ ბიძი.

* * *

ეს კი არც ისე შორი წარსულის ეპიზოდია:

მოქმედების ადგილი — ისევ იმერეთი, ფუნაგირა მთის ძირი. სახლის მშენებლობაზე მუშებთან ერთად მეზობლებიც ირჯებიან — რატომაც არა, სადილ-ვახშამი ნებიერად არის ხოლმე. ახლაც იშლება სუფრა, თითქოს არაფერი აკლია, — თავანკარა ცოლიკოურიც აქვეა, — ამ ღვინის ეშხით, როგორც თაფლზე იტყვიან, „ბუზი ბაღდადიდან მოდის"...

ერთ-ერთი მუშაკაცი ხაჭაპურზე უმალ ყველს გადაწვდა და დიასახლისს შეეთამაშა:

თუ დამიჭრი თხელ-თხელაო,
ორ-ორს შევჭამ ერთხელაო!...

ყველი, მოგეხსენებათ, იმერეთში, ადრეც მომჭირნედ ჰქონიათ, მით უმეტეს — მერე და მერე, ერთ ძროხაზე რომ დადგნენ, გადაზელილ ყველის გემო ხომ სულ დაავიწყდათ. ყველის თხლად დაჭრა, დიახაც, მომჭირნეობის ბრალი იყო; ახლა კი თხლად დასაჭრელიც სანატრელია.

* * *

ჯგილათი. კოპიტის წყაროსთან რამდენიმე კაცი დგას. ერთ მათგანს პამიდორი უჭირავს და ამ უცხო ხილზე სახლიკაცებს ესაუბრება:

— ეს თურმე ასე, უმად იჭმევა, ოღონდ, კანი უნდა შემოაცალოო — თანაც აჩვენებდა, როგორ მოემოქმედათ ეს. თვითონ პირველს მოეყვანია თავის მამულში და მეზობლებსაც გაეცნო ახალი კულტურა, რომელიც ამ საუკუნის მეორე ათწლეულის დასაწყისში შემოსულა ჩვენში.

პამიდორთან ერთად დიდი მოწონება ჰქონია ახლად შემოსულ კარტოფილს: კარტოფილივით სამფელიაო, — რამეს რომ შეაქებდნენ თურმე...

დაგვავიწყდეს, ლამის დაგვავიწყდეს კარტოფილის გემოც...

* * *

ჩვენი სახლიდან ხერი მოჩანდა. იმ ხერზე უნდა გადმოევლო სოფლისკენ მომავალ მგზავრს. დედა თვალს მოკრავდა თუ არა ვინმეს, იტყოდა: — იცანით, ვინ მოდისო, რათა თადარიგი დაეჭირა. მახსოვს ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემს მონაზონი დეიდა ესტუმრა — მიქაშავიძის ქალი. თეკლა ბებიას თანაშემწეც — ეკატერინე ქუთათელაძე ახლდა. მღვიმევიდან ჩამოიარეს ჯგილათში, მე პატარა ვიყავი. ეკატერინე ძალზე გულისხმიერი და ხელმარჯვე ქალი იყო.

— პაწუცა, გამატანე ვარდიკო და ჩემს ხელებს გამოვაბამო. უთხრა დედაჩემს, სკოლაშიც იქ ვატარებ, ახლა ქუთაისში მივდივარ და ვუყიდი ყველაფერს, რაც საჭიროა.

მოილაპარაკეს და გადაწყდა მღვიმევის მონასტერში ჩემი წაყვანა, ხალისიანად კი წავყევი მამაჩემს, მატარებელში ჩაჯდომა მიხაროდა, დარჩენაზე კი უკაცრავად, უარი ვთქვი და ისე მწარედ გამოვტირე, იძულებული გახდა, უკან წამოვეყვანე. გზაში დაგვაღამდა, ზურგზე მოკოტრებული მატარა, მარტო რკვიის აღმართის ავლა რად ღირდა.

მალე ეკატერინეც დაბრუნებულა ქუთაისიდან და რომ გაუგია ჩემი პირველობის ამბავი, გული დაწყვეტია. მერე ისევ დამიყვანეს და „გამამწესეს" მონასტერში. ქუთათელაძის ქალმა ჩემთვის ნაყიდი მოწაფის კაბა და კონტა „პოლსაპოშკები" მომაგება. თან ქუთაისის ამბავს ყვებოდა: ქუჩაში თავისით მოგორავდა რაღაც, არც ხარი ება, არც ცხენი, ლორივით დინგი ჰქონდაო. 7 წლისა ვიქნებოდი, ასე „შემოვიდა" ქუთაისში და ჩემს ცნობიერებაში პირველი მანქანა.

ახლა მონასტრის ამბები!..

— მღვიმევში სამი წელი დავყავი. კარგად მახსოვს მღვდელი ვლადიმერ კაპანაძე, დედამისი ეკა, შვილიშვილები ქეთო და დათო, მნათე მაქსიმე, მონაზვნები მინადორა კვიმსაძე, ელისაბედ ციციშვილი, ანასტასია ვაშაძე, მორჩილები (სამონაზვნო) ვერიკა ჩაჩანიძე და ნადია გუნცაძე. მაგრამ ნადია სამონაზვნედ როდი გაიმეტა ღმერთმა, ისეთი ლამაზი იყო, რომ მზესავით ანათებდა. მოიტაცეს კიდეც... ილუმინიად წერეთლის ზვიადი ქალი უყვარდათ, მაგრამ ქორ-წიწილისა არ იყოს. თვალსა და ხელშუა ააცალეს ნადია. აირია მონასტერი, შეიქნა მითქმა-მოთქმა.

ჩემი ტოლებიც იყვნენ მღვიმევში: ალექსანდრა ბარათაშვილი (სიყვარულით ბაბალუკი) და თამარ გოდაბრელიძე. ბაბალუკიც ჩემსავით ბებიასთან — ანასტასია ვაშაძის ქალთან იყო. სკოლაშიც ერთად დავდიოდით სამივე, ბილიკ-ბილიკ დავეშვებოდით ჭიათურაში იმ შავი მთიდან.

ქალბატონი ალექსანდრა, ზურაბ და ჯემალ ანჯაფარიძეების დედა და დედაჩემი ბავშვობის მონატრებამ დიდიხნის, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ შეახვედრა ერთმანეთს და რაღა არ გაიხსენეს იმ ლამაზ საღამოს.

კალისტინა თუ გახსოვს? — შეეკითხა დედაჩემი.

... კალისტინა დედათა მონასტერში მონაზონ ეფროსინეს წყალობით აღმოჩნდა, ქუთაისის ცირკში უნახავს ხელებშოკლე გოგონა ატრაქციონზე რომ გამოჰყავდათ და შეცოდებია. — დამითმეთ, მე წავიყვან და აღვზრდიო, უთხოვია ცირკის პატრონისათვის. მართლაც, შვილივით უვლიდა, ჩააცვა და დაახურა, ქარგაზე ქარგვაც კი ასწავლა... მადლი და სიკეთეც ეს არის.

ლამაზი ნადია გუნცაძეც გაიხსენეს. დედაჩემი ყოველთვის დიდი სიყვარულით მოიგონებდა ხოლმე ნადიას, — თეკლა ბებიას მორჩილი იყო და მე და იმას ერთად გვეძინაო. ხუცური კითხვა და ზარების რეკვა მან მასწავლაო. სამოციქულოს რომ მაკითხებდნენ ეკლესიაში, საშწიგნობროსთან ძლივს ვჩანდიო.

— პატარა გოგო კითხულობს თურმე სამოციქულოსო — საგანგებოდ მოდიოდნენ ჭიათურიდან.

... ბნელეთიც გაიხსენეს — მღვიმის სიღრმეში, ეკლესიის უკან მართლა ბნელეთში მოჩუხჩუხე ცივი წყარო — შესვლას ვჟღლახად რომ ვერავინ ბედავდა. — მომიტანე ბებია, ბნელეთის წყალი, მეტყოდა თეკლა და მეც უშიშროდ გავრბოდი გამოქვაბულში, თუმცა წყალი ეზოშიც იყო.

თავდავიწყებით მიყვარდაო — ზარების რეკვა...

— სამი ზარი იყო მღვიმევში — მთავარი, შუა და პატარა — დიდს დედოზარი ერქვა — უთენია ვიღვიძებდი, — ცისკრის ზარები მე უნდა ჩამომეკრა. ოქრო-ბოკრო კიბეებით ავძვრებოდი სამრეკლოზე, დავიხვევდი დედოზარის თოკს მარჯვენა მკლავზე (თან „გვაჩვენებს") მარცხენაზე დანარჩენ ორს, ჯერ დედოზარს შემოვკრავდი — დუუუ, შემეხმიანებოდა ბოხი ხმით, შუათანაც სასიამოდ ამღერდებოდა, მესამეს ბავშვის ხმა ჰქონდა. თანდათან ლოწივრად ავათამაშებდი და ამყვებოდნენ ერთმანეთს ზარები და იღვიძებდა მონასტერი და გარემო.

— მეუ, მეუ, მეუ, მეუუ — „მეუბნებოდნენ" შუათანა და პატარა ზარები; მეეუ მეეუ, — ბანს ეტყოდა დედოზარი... განსაცვიფრებელი მელოდია იქმნებოდა. გაახარა ღმერთმა ნადია გუნცაძე, იმან შემასწავლა ეს ხელოვნება და სიხარულით წამოვფრინდებოდი ხოლმე ყოველ დილას ცისკრის ზარების ჩამოსაკრავად, მით უფრო საზეიმო დღეებში.

— რა სხვაობა იყო ცისმარე და საზეიმო დღეებს შორის?

— მრავალხმიანობა!..

ერთხელ ტელევიზორში არხანგელსკელი სვეტლანა პეტუხოვა რეკავდა საეკლესიო ზარებს. დედაჩემი სმენად იქცა, მოეწონა, მართლაც ჩინებულად უხმატკბილებდა ერთმანეთს ზარების ხმოვანებას — იშვიათია ქალი — მნათე! დედაჩემმა უსმინა, უსმინა და ჩაილაპარაკა:

— ის მელოდია სულ სხვა იყოო...

... სულ სხვა იყო მთების ექოთი გაძლიერებული ხმიერება კლდეში ნაშენი მღვიმევის მონასტრის ზარებისა...

ისევ პარალელი:

ტელეეკრანზე მეცხვარეებზე გადაღებულ ფილმში ერთ დეტალს მიაქცია ყურადღება: მოხუცმა მწყემსმა ცხვრის ბეჭში ჩაიხედა ზამთრის ამბის ამოსაცნობად.

—მონაზვნებიც ასე გახედავდნენ ბეჭს და იწინასწარმეტყველებდნენ ზამთრის ავ-კარგიანობასო... .

... ღმერთო, კარგი თვალით ეს ზამთარი და წელიწადი...

1992 წლის ქრისტეშობისთვის მიწურული.

ეს ჩვენი საქართველოა!



სახურავებზე დაუთოვია.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

მარადი ანასაშვილი.

ფიქრი

სიყვარული ვამოციქულოთ

ხავრიელად თოვს, მატყლის ფთილასავით ფანტელები ცვივა ციდან. თოვლს რომ მოჰყვება ხოლმე, ისეთი სიჩუმე.

თუნუქის ღუმელს გუგუნი გაუდის და სითბოს და სიმყუდროვეს დაუსადგურებია ოთახში.

— ეს მაინც დალოცვილია, გათბობა ამასა ჰქვია, — შეუბნება ილო პაპა და აძრეხილად უყურებს რაფის ქვეშ ჩაჩხრიალებულ რადიატორებს.

— აღარც გაზია და აღარც შუქი, ეს გაყინული რკინები რიღას მაქნისია?

თოვს და შემოდის ეს დალოცვილი ახალი წელიწადი, — დანგრეულ, გაპარტახებულ ქვეყანაში.

ავბედისანი ვართო, ვიტყვით ხოლმე. ბედი რა არის? ბედს კაცი ჰქმნის, და არა ბედი — კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენვე ვართ ყოველთვის, ამის აღიარება გულს გვიძაბუნებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ.

დღეს, როგორც არასდროს, ძალა, ჭკუა და პატიოსნებაა საჭირო. ისევ ჩვენ, კახელებმა უნდა დავიდგათ უღელი და გულდინჯად ვატაროთ ქვეყანა. ჩვენი ნიჭი, ენერგია და უნარი ამ საქმის მოწესრიგება-მოგვარებაში უნდა დაიხარჯოს.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემი კახეთი ბუნებრივად მდიდარი კუთხეა და მეორეც, — კახელი კაცი ლომა ხარივით გამრჯეა. აკი გლეხკაცის მარჯვენამ, მისმა სიბრძნემ და სიმრთელემ შემოგვინახა, რაც კი რამ გვაბადია.

— მე მაინც ყველაზე უფრო ჩემი მიწის მწამს. ეგ არის ჩემი მესაიდუმლე და მეჭირნახულე. ყველაფერი მიდი-მოდის და ქრება, მარტო ეს დალოცვილი მიწაა უცვლელი. ხომ გახსოვს: „კულტურა მიწით იწყება და ცით თავდებაო".

ოთხმოცს გადავაბიჯე და მაინც ვშრომობ, მაგან გამაძლებინა, მცონარები დიდხანს ვერა ცოცხლობენო, — ეშმაკურად ჩაიღიმა ილო პაპამ და წიგნში თავჩარგულ შვილიშვილს გადახედა.

— ახლანდელ ბალღებს ფიზიკური შრომა ეთაკილებათ, მამა უცხონდათ, ხონჩაზე დადებული მოუტანო. სირცხვილი არ არის, ამ ერზოსავით მიწაზე ხალხი შიმშილით დაიხოცოს.

— დაილოცე, შვილო, — ილო პაპამ ქინძმარაულით სავსე ბროლის ჭიქა მომაწოდა. — მხიარულებისა და ქეიფის გუნებაზე აღარავინ არის, მაგრამ წესია და ადათი, მტრის ჯინაზე კიდევაც უნდა დავლიოთ და კიდევაც უნდა ვიქეიფოთ.

— შენ რაც გინდა თქვი, და ერთში მაინც ძალიან მადლიერი ვარ ჩვენი ხალხისა — ცუნდრუკა და შლეგ პრეზიდენტს გვერდში რომ არ ამოუდგა.

—რა ვიცი, ყვარლის ტყეში დაბანაკებულები აკი ამტკიცებდნენ: ყვარელში დიდი დასაყრდენი აქვსო გამსახურდიას, — შევესიტყვე.

— აბა, რას ამბობ შვილო. თუმცა, მაიცა, ყვარლელებს მართლაც უყვართ გამსახურდია, მაგრამ არა ზვიადი, არამედ ლევან გამსახურდია. ლევანი, დიდი ალექსანდრე გამსახურდიას შვილია. ეს პატარა ტანის კაცი, მართლაც რომ უზარმაზარი იმედი და გაჭირვების ტალკვესი იყო ყვარლელებისათვის. სამეგრელოდან ჩამოსახლებული, ეს უზადო პიროვნება და ბრწყინვალე დასტაქარი ყველა ყვარლელისათვის საფიცრად იყო ქცეული. სასიქადულო მამის ნათელი ადგას მის ლევანს და გვიყვარს ყვარლელებს გამსახურდიები, მაგრამ არა ნაპრეზიდენტალი, არამედ სამშობლოს მოყვარული გამსახურდიები, ჭანტურიები, ხარებავები, ბახიები და ყველა, ვისი შთამომავალიც დღეს ჩვენს რაიონში ცხოვრობს. აი, მათთვის მუდამ ღიაა ყველა ყვარლელის კარი.

— ომში დაღუპული ბიჭების სადღეგრძელო დავლიოთ, შვილო, — თემა შეცვალა მოხუცმა, თვალები აუწყლიანდა და მზერა ამარიდა.

რამდენი კარგი ბიჭი გვყოლია. მარტო ყვარლელების ჩამოთვლა იკმარებდა: ბესიკ ბურკიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ზაზა სეფიაშვილი, გოჩა ავაზაშვილი, თამაზ იორდანიშვილი... თქვენც გაგიმარჯოთ, ბიჭებო: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება", ნურც ნურვინ შეგვეცილება რამდენჯერმე გაიმეორა. — თუ ქართველები ასეთი საშინელი ხალხი ვართ, როგორ მოახერხეს დამწერლობისა და მწიგნობრობის უქონელმა აფხაზებმა, საუკუნეების მანძილზე, ენის, ზნე-ჩვეულებების, ეროვნული სახის შენარჩუნება? რატომ არ გააქართველა ისინი სამეფო კარმა და ქართულმა ეკლესიამ? რატომ იბრძვიან, რა უნდათ აფხაზებს, ოსებს? ქართველი ხალხი ხომ არასოდეს ყოფილა რომელიმე ხალხის თავისუფლების წინააღმდეგი.

— ჭკუა მტერსაც უნდა ეყოს, ის გზები უნდა მოიძებნოს, რაც ერთად ცხოვრების საშუალებას მოგვცემს. ერთი რამ ორივემ უნდა იცოდეს — ქართველმაც და აფხაზმაც, აფხაზეთიდან ქართველს ვერ განდევნიან, და ვერც აფხაზებს, რადგან ერთად ცხოვრობენ იმ დღიდან, რაც მიწის ეს ნაკვეთი გაჩნდა და არსებობა დაიწყო. ერთად ცხოვრების გზის ძებნაში უნდა დავხარჯოთ ჭკუა-გონება.

— ახლა რა გვიშველება, როცა მკვდარი მკვდარზე ყორედ დავაწყეთ, როცა შიმშილი და სიცივე კარს მოგვადგომია?

— მთავარი ჩვენი განწმენდა და ამაღლებაა, შვილო. შენ ახლა უწმინდეს ადგილას ხარ, ყვარელი საქართველოს ბეთლემია. ვაი, რომ გოლგოთაც გვაქვს და ეს წიწამურია. ყური დამიგდე, რას ამბობდა დიდი ილია:

„ტყე, მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰაერ-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა არ გინდა სული და გული არ მოიხდება. არ იშოვო, არ გამოიყენო, აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გაანძრიე, გაისარჯე, იმხნევე. მუცელსა და გულთა თქმას ბატონად ნუ გაიხდი".

იცოდი, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატიოსნობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთები?

— გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუმაგროთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ. მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთს სიყვარული ვამოციქულოთ".

* * *

— „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ, ჯველა დაგიწყებს გმობასო".

როგორც იქნა, სიმღერაც ამოხდა ბოხით სავსე გულს.

„გზაზე რომ შემომეყრები,
ვეტყვი შვილსა და ძმობასა"...

ბუბუნებდა კახეთი. ჩემი კახეთი, რომელმაც იცის, რომ ძნელი დღე უდგას, ორმა ხევ-სავანი აქვს გასავლელი დღის ჩვენს დიდ მამულს. ის კი ამ მამულის მტკიცე ბურჯია.

ახალი „ოქროს ხმა"

მადრიდის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 150-მდე მომღერალთა შორის ახალი გამარჯვებული გამოავლინა. ეს გახლავთ ქართული ვოკალური სკოლის წარმომადგენელი ეთერ ჭყონია. 24 წლის მომღერალმა აქამდე მოპოვებულ რეგალიებს (ვიქტორ დოლიძის სახელობის, ბარსელონის, პამპლონის) კიდევ ერთი, ამჯერად პირველი ადგილი და ოქროს მედალი მიუმატა.

„ახალი ხმები" — ასე ჰქვია კონკურსს, რომელიც ტრადიციულად ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება ესპანელი კომპოზიტორის ფ. ალონსოს ხსოვნის აღსანიშნავად.

ვოკალურად რთული არიები ქართველმა ვოკალისტმა, როგორც ჩანს, საუკეთესოდ დაძლია, აღინიშნა შესრულების კარგი მანერა და სტილი. თვით ალონსოს ქალიშვილებმა ასე შეაქეს ეთერს: ასე განსხვავებულად მამის ქმნილებები არავის შეუსრულებიაო. — „ძალიან კარგი, დიდა, — წერს იგი, თავის აღმზრდელ პედაგოგს, თვალსაჩინო ქართველ მომღერალს ლამარა ჭყონიას, არც ერთ ესპანელ კონცერტმაისტერთან არ გამივლია კონსულტაცია, თორემ ჩემი ინდივიდუალური დამოკიდებულება ამ კომპოზიტორის მიმართ, ალბათ, დამეკარგებოდაო."

მადრიდის კონკურსში გამარჯვებამ მომღერალს დაუგეგმა ტურნე ესპანეთის მთავარ ქალაქებში სოლო-კონცერტებით.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

სურათზე: ეთერ ჭყონია თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ტენორთან ხოსე კარერასთან ერთად.

რომ არ დავრჩეთ უმეტროოდ

ახალი წლის დამდეგიდან ელექტროდენის სიხშირე, რომელსაც თბილისის მეტროპოლიტენი იღებს „საქენერგოს" ქვესადგურისაგან, მკვეთრად დაეცა და 45-47 ჰერცის ფარგლებში მერყეობს. ამის გამო უვარგისი გახდა ვაგონების ათობით მწვავედ დეფიციტური გოგორწყვილი და სხვადასხვა ელექტრომოწყობილობა, რომელთა ღირებულება მილიონი მანეთია. მაგრამ ყველაფერი მარტო ეს როდია. რას უნდა ველოდოთ მეტროში ელექტროკვების რეჟიმის დარღვევისაგან?

თბილისის მეტროპოლიტენის უფროსმა გურამ გაბუნიამ საქინფორმის კორესპონდენტთან თენგიზ ჩხიკვაძესთან საუბარში თქვა, რომ ქსელში ძაბვის მკვეთრი დაცემის გამო მატარებლები იძულებული არიან სიჩქარის ავტომატური რეგულირების გამორთული სისტემებით იარონ, ეს კი, თავის მხრივ, მეტროს მაგისტრალებზე ავარიული სიტუაციის წინამორბედია. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით იძულებული გავხდეთ შევაჩეროთ მეტროპოლიტენის მუშაობა.

ამ საკითხზე „საქენერგოს" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის ზურო აბაშმაძის აზრი ასეთია:

— ფაქტობრივად, — თქვა მან, — ჩვენი ენერგეტიკა უკვე მესამე წელია ამოვარდნილია ყოფილი საბჭოთა კავშირის, ახლა კი დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანი ენერგოსისტემიდან. ელექტროენერგიის საზღვარგარეთელი მომწოდებლები რუსეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის სახით რეგულარულად არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, რაც უდავოა, რესპუბლიკურ მომხმარებლებთან ენგურჰესის დამაკავშირებელი ზოგიერთი ელექტროგადამცემი ხაზის უმოქმედობის, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის არასაკმარისი მუშაობის პირობებში საქართველოში ელექტროენერგიის მეტი დეფიციტი იქმნება. ვითარება შეიცვლება, როგორც კი უახლოეს დღეებში თბილსრესში ნაწილობრივი რემონტის შემდეგ ამოქმედდება პირველი და მეცხრე ენერგობლოკები.

რაც შეეხება თბილისის მეტროპოლიტენის ენერგორესურსებს, თქვა ზურო აბაშმაძემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ჩაგვინერგეს მისი სრული გადაწყვეტის იმედი მატარებლებში ისეთი სპეციალური სისტემის დანერგვის მეშვეობით, რომლებსაც აქვთ მინიმალურ დონეზე — 48 ჰერცამდე და მაქსიმალურ დონეზე — 50 ჰერცამდე ელექტროდენის სიხშირის სტაბილიზაციის უნარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემა ჯერჯერობით რეალურად არ გადაჭრილა.

პოლიცია მოქმედებს

4 იანვარს, ღამის პირველ საათზე თეთრიწყაროს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გამოცხადდა სოფელ სალორაშენში მცხოვრები კარლო ბაღჩის ძე მეგულაშვილი, რომელმაც თქვა, რომ 3 იანვარს 23 საათსა და 30 წუთზე ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს საცხოვრებელი სახლი, გაიტაცეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები და მიიმალნენ ლურჯი ფერის „ჟიგულის" მარკის მანქანით.

ცხელ კვალზე ბოროტმოქმედთა დადევნა-დაკავების მიზნით ორიენტირი მიეცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამორიგეო ნაწილს, თელეთის საგზაო პოლიციის მოტორიზებული ოცეულის საგუშაგოს და მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამორიგეო ნაწილიდან ცნობილი გახდა, რომ თელეთის საგზაო პოლიციის საგუშაგოზე დააკავეს ნაქურდალი ნივთებით დატვირთული „ჟიგულის" მარკის ავტომანქანა და მანქანაში მსხდომი 5 ბოროტმოქმედი. ისინი აღმოჩნდნენ რუსთაველის მეგობრობის ქუჩა № 2-ში მცხოვრები „თეთრი გიორგის" მოხალისე, წინათ ნასამართლევი მევლუდ რევაზის ძე კრიალაშვილი, თბილისში ზუგდიდის ქუჩა 21-ში მცხოვრები, თბილისის მექანიზაციის სამმართველოს ამწის მემანქანე კამო ბორისის ძე სარქისიანი, თბილისში ვარკეთილი-3, მე-2 მიკრორაიონის 82-ე კორპუსში მცხოვრები, ეროვნული გვარდიის სპეცდანიშნულების ბატალიონის მოხალისე ზაზა ნიკოლოზის ძე მამადაშვილი, თბილისში ლოტკინის დასახლებაში მცხოვრები, წინათ ნასამართლევი ვართან გარეგინის ძე გრიგორიანი და თბილისში ზანდუკელის ქუჩა 62-ში მცხოვრები, წინათ მრავალჯერ ნასამართლევი, უმუშევარი რობერტ კარმენის ძე საკიანი. ბოროტმოქმედთაგან ზ. მამადაშვილი და რ. საკიანი შეიარაღებული იყვნენ ავტომატური იარაღით.

ბოროტმოქმედებს ჩამოართვეს 2 ავტომატი 6 მჭიდით და საბრძოლო ვაზნებით, „ტტ-ს" სისტემის 12 საბრძოლო ვაზნა.

კ. სარქისიანი, ვ. გრიგორიანი და რ. საკიანი მოათავსეს შინაგან საქმეთა განყოფილების კუთვნილ უაზის ტიპის ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა რიგითი პოლიციელი დავით ჯორჯიაშვილი, მათ აცილებდნენ პოლიციის მაიორი გურამ ნიაზაშვილი, პოლიციის კაპიტანი ჰამლეტ სამხარაძე და პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ავთანდილ ბექაური.

სოფელ ასურეთის მისასვლელთან რ. საკიანმა მოულოდნელად ავტომანქანაში ააფეთქა ხელყუმბარა, რის შედეგადაც თვითონ ადგილზე დაიღუპა, ხოლო ვ. გრიგორიანი — თეთრიწყაროს რაისაავადმყოფოში მიყვანის შემდეგ.

სხეულის დაზიანებები მიიღეს გ. ნიაზაშვილმა და დ. ჯორჯიაშვილმა, რომლებიც მოათავსეს თბილისის 1 საავადმყოფოში, სამხარაძესა და ბექაურს კი ამბულატორიული დახმარება აღმოუჩინეს.

* * *

წინასწარი მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ 4 იანვარს დაახლოებით 18 საათზე თეთრიწყაროს შინაგან საქმეთა განყოფილების საგზაო პოლიციის ავტომანქანას სოფელ კოდასთან თავს დაესხა ავტომატებით შეიარაღებული 3 ბოროტმოქმედი. თავდამსხმელებმა ავტომატის გასროლით მძიმედ დაჭრეს საგზაო პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გ. ხეჭაური. საპასუხო სროლის შედეგად ადგილზე მოკლეს ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, რომელიც აღმოჩნდა გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბას მცხოვრები ვეფხია მგალობლიშვილი, ხოლო მეორე ბოროტმოქმედი — გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში მცხოვრები ბადრი ჯიჯიშვილი დაჭრილია და დაკავებულია, მესამე თავდამსხმელმა მიმალვა მოახერხა.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ერთი ავტომატი.

აღნიშნული შემთხვევების გამო მიმდინარეობს გამოძიება.

ავტომატით დედა მოკლა...

5 იანვარს, თბილისში, საღამოს რვა საათზე კონდოლის ქუჩა 52-ში მცხოვრებმა გიორგი სანაკოევმა ავტომატის შემთხვევითი გასროლით მოკლა საკუთარი დედა.

იარაღი ამოღებულია, მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ რა შეიძლება დაერქვას შვილის საქციელს, როდესაც იგი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიმალა?

გულიკო მარკოზაშვილი.

ვიტი ბრუნდება

ფიგურულ სრიალში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, გერმანელ კატარინა ვიტს განზრახული აქვს იასპარეზოს ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერის ყინულზე 1994 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

შეგახსენებთ, რომ მან რამდენიმე წლის წინ მიატოვა დიდი სპორტი და ამჟამად თეატრალიზებული რევიუს სოლისტია.

ჩემპიონია კანადა

გამოვლინდა წლევანდელი სპორტული სეზონის პირველი მსოფლიო ჩემპიონი. ეს გახლავთ კანადის ჰოკეისტთა ნაკრები, რომელმაც 12 ქულით პირველი ადგილი დაიკავა შვედეთის ქალაქ ფალუნში გამართულ უმნიშვნელოვანეს ტურნირში ახალგაზრდებს შორის.

ამდენივე ქულით დაასრულეს გამოსვლა მასპინძლებმაც. მაგრამ ოკეანისგაღმელებთან პირად მატჩში მარცხის გამო მათ მხოლოდ ვერცხლის მედლები გადაეცათ. მესამე პრიზიორი გახდა ჩეხეთ-სლოვაკეთის გუნდი, რომელმაც უკანასკნელად ითამაშა ერთიანი ქვეყნის სახელით.

აღსანიშნავია რუსების ფიასკო, რომლებმაც მეექვსე ადგილი დაიკავეს. მათ „ისტორიული" მარცხი აგემეს კანადელებმა — 9:1.

ჩოგანი

ევროპის სტადიონებზე

გრძელდება კონტინენტის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო კლუბის — ამსტერდამის „აიაქსის" „ძარცვა".

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების წევრებს — ჯონ ვან სხიპს, აარონ ვინტერსა და ბრაიან როის, რომლებიც მიმდინარე სეზონიდან იტალიურ კლუბებში გამოდიან, შეუერთდათ 26 წლის თავდამსხმელი რონ ვილემსი. მისი კონტრაქტის თანახმად ციურიხის „გრასჰოპერსთან" დაახლოებით 330 000 დოლარი შეადგინა.

* * *

6 გუნდი მონაწილეობდა ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც საფრანგეთში გაიმართა.

გადამწყვეტ შეხვედრაში პრაღის „სპარტამ" ანგარიშით 5:4 სძლია დანიის „კოპენჰაგენს" და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ნახევარფინალში ჩეხებმა მოსკოვის „ცსკას" მოუგეს — 2:0.

ცხონება

გრიგოლ რურუა

65 წლისა გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გრიგოლ (გიგუშა) ბარნაბის ძე რურუა.

პროფესორმა გ. რურუამ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ განვლო შემოქმედებითი გზა როგორც ინჟინერმა, მეცნიერმა და პედაგოგმა. მისი სამეცნიერო თემატიკა მოიცავდა ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორიცაა მდინარისა და ზღვის ნაპირების დაცვა წარეცხვისა და დატბორვისაგან, რაც აისახა მის მრავალრიცხოვან სტატიებსა და გამოგონებებში.

პროფესორი გ. რურუა მუდამ იყო საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

თვალსაჩინო მკვლევარის, უანგარო პიროვნების, ოჯახსა და საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის ნათელი სახე მარად დარჩება კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, თეორიული მექანიკის კათედრა.

საბა ჭუმბურიძე

გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი, კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსი საბა ახმედის ძე ჭუმბურიძე.

დაიბადა 1927 წელს. 1970 წელს მუშაობა დაიწყო „საქნავთობპროდუქტის" კონცერნში, სადაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა. მანამდე კი მსახურობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სუბტროპიკულ ტექნიკუმში, უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოებაში, მინისტრთა საბჭოში.

ბატონი საბა იყო უაღრესად საქმიანი, გულისხმიერი ადამიანი, კარგი მეოჯახე. მისი ხსოვნა მუდამ დარჩება თანამშრომლების, მეგობრების და ახლობლების მეხსიერებაში.

კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" თანამშრომლები.

რეგიონული ორგანიზაციის კრება

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტი 9 იანვარს 2 საათზე იწვევს პარტიის თბილისის რეგიონული ორგანიზაციის კრებას.

პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი,
პარლამენტის წევრთა ჯგუფი.**

მსოფლიო ებრაული სააგენტო „სოხნუთი"
აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:
1. საქმეთა მმართველი;
2. მდივანი.
პირობები: ქალიშვილი (ქალბატონი) 18-30 წლამდე, რომელიც ფლობს ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს (სასურველია ივრითიც). საჭირო საბუთები: ავტობიოგრაფია, ორი ფოტოსურათი.
საბუთები მიიღება 9 იანვრამდე მისამართზე: გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა 4, ოთახი № 11, „სოხნუთი".
ტელ.: 98-70-91.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 11 იანვარს.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი: [illegible], თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

შეკვეთა 66434